# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 16 სექტემბერი 2003 №174 (1945) | ფასი 50 თეთრი



ბადრი კითილაძის ფოტო

# ელდარ კურტანიძე მსოფლიიორგზის

# კროკოს ადვოკატი სიმართლეა



გოჩა სვანიძე სასამართლოს კანონით ელაპარაკება

**საქართველო** ცუდი ადგილია საქმის საკეთებლად. კაცი ბიზნესს წამოიწყებ, მეურნეობას გამართავ, ხალხს დაასაქმებ, სახელმწიფო ბიუჯეტსაც ახეირებ და უცებ იმ ხელისუფლებისგან აწყდები წინააღმდეგობას, რომელიც წესით შენ საქმიანობას პატივს უნდა სცემდეს და გვერდით გედგეს. საქართველო პარადოქსების ქვეყანაა და სწორედ რომ პარადოქსია ძალოვნების დაპირისპირება შპს „კროკოსადმი", ეს პარადოქსი სახელმწიფოსგან მიტოვებული იმ ათასობით ადამიანის უფლებებსაც ლახავს, „კროკოს" რომ ჰყავს დასაქმებული.

ქართული მასმედია კრიტიკულად გამოეხმაურა ძალოვნების მიერ „კროკოს" ოფისების სახალხოდ დარბევის ფაქტს. სწორედ ეს დიდი რეზონანსი იყო სამართალდამცავთა დროებით ჩაცხრომის მიზეზი. თუმც სიჩუმემ დიდხანს არ გასტანა. პირველ აგვისტოს აბსურდული მიზეზით „კროკოს" გენერალური დირექტორი დიმიტრი აბესაძე დააკავეს. ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოსნებმა პრესკონფერენციაც გამართეს, სადაც აბსოლუტური სერიოზულობით ითქვა, თურმე სახელმწიფო პენსიონერებს ფულს რომ ვერ უხდის, „კროკოს" ბრალიაო. ამ განცხადებით უდანაშაულობის პრეზუმპცია ხომ დაირღვა, მაგრამ უფრო ნიშანდობლივი ის არის, რომ ძალოვანები საზოგადოების გაბითურებას მსგავსი აბსურდული განცხადებით ცდილობენ.

დიმიტრი აბესაძის სასამართლო პროცესი აგვისტოშივე გაიმართა და გირაოს გადახდის შემდეგ „კროკოს" გენერალური დირექტორი გაათავისუფლეს. გირაოს გადახდა უზრუნველყოფს გამოძახებისას ბრალდებულის სასამართლოში დროულ გამოცხადებას და გამოძიების დამთავრებისთანავე ერთი თვის მანძილზე თანხის დაბრუნებას. ამის გათვალისწინებით, ერთობ მოულოდნელად განვითარდა მოვლენები წინა შაბათს. დიმიტრი აბესაძე მთაწმინდის სასამართლომ გამოიძახა, თანაც ბრალდებულს ამის შესახებ პროცესის დაწყებამდე ორი საათით ადრე აცნობეს...

*დიმიტრი აბესაძე:* სასამართლო გადაწყვეტილება მართლაც მოულოდნელი იყო ჩემთვის. სასამართლოს პროცესამდე გაცილებით ადრე უნდა ჩავეყენებინე საქმის კურსში. სასამართლოში მისულთ აბსურდული ბრალდება დაგვახვედრეს. საგამოძიებო ჯგუფის შუამდგომლობით სასამართლო კოლეგიას ჩემთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება სურდა, მაგრამ ჩემმა ადვოკატმა ხუხულასავით დაშალა შეთითხნილი ბრალდება.

დიმიტრი აბესაძის ინტერესებს საქართველოში ცნობილი და წარმატებული ვექილი გოჩა სვანიძე იცავს. მას გუშინ შევხვდით და აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ.

*გოჩა სვანიძე:* გამოძიება ერთობ ტენდენციურად მიმდინარეობს. „კროკოს" სამი მუხლით აქვს ბრალდება წაყენებული — გადასახადების დამალვა, ულიცენზიოდ მუშაობა და ეროვნული ვალუტის მიმოქცევის წესების დარღვევა. სამივე ბრალდება სუსტი და არაკვალიფიციურია. არსებობს ლიცენზიების დებულება, რომლის თანახმად, „კროკოს" მხოლოდ ერთი ლიცენზია სჭირდებოდა საქმიანობისათვის. ხალხს რომ ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობა გაადვილებოდა, გაიხსნა „კროკოს" სხვადასხვა პუნქტები. ძალოვნებმა მათზეც მოითხოვეს ლიცენზიები. „კროკომაც" 15-დან შვიდ ფილიალზე აიღო ლიცენზია, შემდეგ კი გაირკვა, რომ საქმიანობისთვის ერთი ლიცენზია საკმარისი იყო. ბუნებრივია, კროკოელებმა ფინანსთა სამინისტროსგან ზედმეტ ლიცენზიებზე დახარჯული თანხის დაბრუნება მოითხოვეს, რაც სავსებით კანონიერია.

„კროკოსადმი" ძირითადი ბრალდება შემოსავლების დამალვაა, რაც ერთობ აბსურდულია. „კროკოსთან" თანამშრომლობისას ამ ორგანიზაციის საქმიანობას დაწვრილებით გავეცანი და აქ არანაირი დარღვევა არ არის. ყოველივე დაუხვეწელი საგადასახადო სისტემის ბრალია. კონკრეტულად გეტყვით, საგადასახადო „კროკოსთან" მიმართებაში შემოსავალს გასაცემი თანხიანად ანგარიშობს და მის 20 პროცენტს ითხოვს. არადა, ელემენტარულია, გასაცემი, ანუ „კროკოს" მიერ მოთამაშესთან წაგებული თანხა შემოსავლად ვერ ჩაითვლება.

**— შაბათს გამართულ სასამართლო სხდომაზე როგორ განვითარდა მოვლენები?**

— სასაცილო ვითარებაში აღმოჩნდნენ დამხვდურები. იმდენად დიდი სისულელე ჰქონდათ შეთითხნილი, პროკურორის მხარდაჭერაც კი ვერ მოიპოვეს. შუამდგომლობის გაცნობისას სასამართლო კოლეგიას კოდექსი მივეცი და ვთხოვე, რომელიმე პუნქტთან შეეფარდებინათ ბრალდება. დიდხანს ატრიალეს წიგნი ხელიდან ხელში, მაგრამ ამაოდ, ბრალი ვერაფერში დაგვდეს.

„კროკოს" საქმიანობაში კრიმინალური ელემენტები რომ ერიოს, ოფისებს დალუქავდნენ, მაგრამ ამას ვერ აკეთებენ, რადგან ეს ადმინისტრაციული დავაა და გამოძიების დასრულებამდე „კროკოს" ვერავინ დასდებს ბრალს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ყოველივე გამიზნულად კეთდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან?**

— ჩემი აზრით, ეს ძალოვანთა მხრიდან საჩვენებელი მოქმედებაა. „კროკო" არანაირ გარიგებაზე არ მიდის არავისთან. კროკოელებს პრინციპული, საქმიანი დამოკიდებულება აქვთ, ანუ ამ ორგანიზაციიდან ხელს ვერავინ მოითბობს. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი. გამოძიებამ „სახელმწიფოებრივი ელფერი" მისცა საქმეს, აი, „კროკო" ბიუჯეტს ფულს უმალავსო — ამ გზით ცდილობენ კროკოელთა გატეხვას, მაგრამ ეს ხალხი თავის პრინციპებს არ უღალატებს, რადგან ფასდაუდებელი განძი აქვთ — სიმართლე.

***— როგორ ფიქრობთ, როდის დასრულდება გამოძიება?***

— თავად ძალოვნებისთვის არის უმჯობესი ამ აბსურდული თამაშის მალე დასრულება.

თავად დიმიტრი აბესაძე თვლის, რომ ამ საქმის დეტალებში შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი არ არის გარკვეული, თორემ ყველაფერი აქამდე მოგვარდებოდა. გუშინდელი სატელეფონო საუბრისას დიმიტრი აბესაძემ ესეც გვითხრა:

— გამოძიების მიზანი ჩვენი დაშინებაა. ყოველივე ალბათ გარკვეულწილად საბიუჯეტო პრობლემებსაც უკავშირდება. ძალოვნებმა კარგად იციან, რასაც აკეთებენ. ისინი გამიზნულად მოქმედებენ, რადგან დაგვანახონ, რომ ყველაფერზე არიან წამსვლელნი. კაცი რომ სასამართლოზე დაგიძახებს, ბრალდების წასაყენებლად მუხლს ვერ მოგიძებნის, პროფესიულ სირცხვილს ჭამს და ორი წუთის შემდეგ გაცინებული გამოვა დარბაზიდან, მას საკუთარი თავის პატივისცემა არა აქვს. ფაქტია, ასეთ ხალხს ზემოდან აიძულებენ მოქმედებას, მაგრამ ჩვენ ჩვეულ, პატიოსან გზას არ ვუღალატებთ და ადრე თუ გვიან ჩვენი სიმართლე იზეიმებს.

**ბაატა ძვანტალიანი**

| საქართველოს პირველი ლიგა | 15 ჩემპიონატი ეტაპი | 5 ტური |
|---|---|---|

თბილისი. 14 სექტემბერი. 17 საათი. დინამო. 150 (ტევადობა 70 900)

## ამერი 0:2 ლოკომოტივი 2

0:1 ა. ივერიანი (54), 0:2 ბ. ივერიანი (89)

**ამერი:** ასლანაძე, კედელაშვილი, ელბაქიძე (ნაკოლაიშვილი, 75), ჩიხრაძე, მჭედლიშვილი (კილასონია 61), ბეგლავა, კუხრაშვილი, ბერიანიძე (წინამძღვრიშვილი 46), განუგრავა, რუსია, ვერემჩუკი. **მწვრთნელი:** გაიოზ დარსაძე

**ლოკომოტივი 2:** ხარძეიშვილი, ჯიქიძე, მესიაჩენკო (ფეხტვენიძე 82), გოგია, ნარობაშვილი, ვაშაკიძე, ელასოვა, კაცაძე, ცხოიძე, სიხარულიძე (ბ. ივერიანი 78), ა. ივერიანი. **მწვრთნელი:** ივანე ყურულაშვილი

**გაფრთხილება:** ცხოიძე (69), ა. ივერიანი (87)

**მსაჯები:** ა. პრიჟაშვილი, ზ. ჯვარიძე, მ. ნაკაიძე

# ძმა ძმისთვის, გოლისთვის

**პაატუნა კედია**

**„ამერისა"** და სამტრედიის „ლოკომოტივის" შეხვედრაში პირველი სახიფათო მომენტი მე-6 წუთზევე ჩავინიშნეთ, როდესაც სტუმრების მეათე ნომერმა ირაკლი სიხარულიძემ „ამერის" მცველთა მიერ ნაბოძები დერეფნით ისარგებლა და მეკარე ასლანაძესთან ორთაბრძოლაში კარის გასწვრივ გააგდო ბურთი. მასპინძლების საბედნიეროდ, იქ ამირან კედელაშვილმა იფხიზლა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სიხარულიძემ იმ დღეს კიდევ ბევრჯერ მიიპყრო ყურადღება, თუმცა გოლები თბილისელებს ძმებმა ივერიანებმა გაუტანეს. 54-ე წუთზე არჩილმა, ხოლო 89-ე წუთზე გამოცდილმა ბიძინამ.

მაგრამ ანგარიშის გახსნამდე მთელმა პირველმა ტაიმმა და მეორის ცხრა წუთმა ჩაიარა. ჩავხედოთ ბლოკნოტს, სადაც მატჩის მიმდინარეობას ვინიშნავდით: მე-12, 22-ე, 37-ე წუთებზე „ამერის" შეტევებისთვის მიგვიპყრია ყურადღება. მე-12 წუთზე თავდამსხმელ მამუკა რუსიას ჰქონდა შესაძლებლობა, 22-ე და 37-ე წუთებზე კი ნახევარმცველ ჯაბა ბერიანიძეს (ერთხელ — საშუალო მანძილიდან ფეხით, მეორედ — თავით) და სამივე შემთხვევაში სამტრედიელთა მეკარემ დავით ხარძეიშვილმა იყოჩაღა. გვინდა ხარძეიშვილს აქვე დავუფასოთ ოსტატობა — „ლოკომოტივის" კარის მცველი ის კაცია, რომელიც არ კრთება და ასალებს უეჭველად იღებს.

შესვენების შემდეგ, მასპინძლებმა ზემოხსენებული ნახევარმცველის, ბერიანიძის მაგივრად მესამე თავდამსხმელი, რატი წინამძღვრიშვილი შეიყვანეს და მეორე ტაიმის პირველი წუთები უფრო აქტიურად ჩაატარეს — ემოციური ეპიზოდები რუსიას მაკრატელას ჩათვლით სამტრედიელთა საჯარიმოში ტრიალებდა. თუმცა დადგა 54-ე წუთი, „ლოკომოტივმა" კონტრშეტევაააწყო, „ამერის" დაცვამ მეტოქეს ისევ აჩუქა დერეფანი და არჩილ ივერიანმა საჩუქარი მადლიერებით მიიღო — ანგარიში გახსნა.

გოლიდან ექვს წუთში სამტრედიელ რამაზ კაცაძის და თბილისელთა მეკარის, დავით ასლანაძის მონაწილეობით გათამაშდა ლამაზი მომენტი — კაცაძემ შორიდან ეფექტურად დაჰკრა, ასლანაძემ კი მოიგერია. კიდევ ხუთ წუთში ლოკომოტიველი ლაშა ვაშაკიძე თავისი, მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა „ამერის" დაცვის სიღრმეში და დაარტყა, მაგრამ ბურთი კარის ბადეს გარედან მოხვდა.

მასპინძლებმა 74-ე წუთზეღა შექმნეს მორიგი საფრთხე — ფარნა კუხრაშვილმა სცადა საჯარიმოდან, დაბალი დარტყმით გაექვითა ანგარიში, მაგრამ ნაქებმა მეკარე ხარძეიშვილმა ფეხით მოიგერია. შემდეგ, ორჯერ ისევ „ამერმა" შექმნა ნახევარმომენტი და დადგა კიდეც 89-ე წუთი, როდესაც „ლოკომოტივმა" სამგალითო სწრაფი კონტრშეტევა გაითამაშა: მოედანზე ახალშესულმა ბიძინა ივერიანმა მეორე გოლი შეაგდო.

ამის შემდეგ, 90-ე წუთზე, „ამერის" ცენტრალურმა მცველმა, დიმიტრი ვერემჩუკმა მოგვცა სამტრედიელი მეკარის კიდევ შექების საშუალება და ბოლოს, მსაჯის წამატებულში სტუმარმა პაატა ცხოიძემ აცილა ასლანაძის კარს.



სამტრედიელთა მეკარე დავით ხარძეიშვილი მაგრად იდგა

**ჩიხურა 3:1 თსუ**

**გორდა 1:0 ქობულეთი**

**ოლიმპი 2:0 გურია**

**მილანი 0:0 ცხინვალი**

**მეტალურგი 0:1 ივერია**

**სამგურალი 1:0 ლუკა**

**ვიტ ჯორჯია-მცხ. 2:2 დინამო 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:4 | 13 |
| გორდა | 5 | 4 | 0 | 1 | 9:6 | 12 |
| სამგურალი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| თსუ | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| ქობულეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 9 |
| ცხინვალი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 8 |
| დინამო 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 7 |
| ივერია | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | 7 |
| ლოკომოტივი 2 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| გურია | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |
| ლუკა | 5 | 2 | 0 | 3 | 3:5 | 6 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| მილანი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 5 |
| ამერი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| ჩიხურა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| მეტალურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:8 | 0 |

## ინგლისი

პრემიერლიგა. V ტური

ლესტერი 4:0 ლიდსი

## გერმანია

II ბუნდესლიგა. V ტური

არმინია 3:1 კარლსრუე

## იტალია

სერია C1/A. III ტური

რიმინი 0:0 პადოვა

## პორტუგალია

სუპერლიგა. IV ტური

ალვერკა 1:1 ბოავიშტა

## შვედეთი

ალსვენსკა XXI ტური

ელფსბორგი 3:0 ლანდსკრონა

გიოტებორგი 3:0 ენჩიოპინგი

ჰელსინგბორგი 0:0 მალმიო

სუპერეტა XXIV ტური

გეფლე 2:2 ვესტეროსი

## ჩეხეთი

გამბრინუსლიგა VII ტური

სლავია 1:2 ბანიკი

## ჰოლანდია

მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები

აპელდორნი 0:2 ექსელსიორი

სიტარდი 2:3 დენ ბოსხი

## ნორვეგია

ტიპელიგა. XX ტური

ბრანი 1:3 ლილესტრიომი

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა XIX ტური

ჰაამენლინა 0:0 ტამპერე

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 7 ტური



ბადრი ქათამაძის ფოტო

ლევან ხომერიკის ლამაზი, მაგრამ არაზუსტი მეგრატელა

თბილისი. 13 სექტემბერი. 19 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 2:0 კოლხეთი

| |
|---|
| 1:0 მიქაძე (38 პ), 2:0 სირაძე (89) |
| გაფუშ ვერ გაიტანა პენალტი (55, მეკარე) |
| ლოკომოტივი: გრიშიკაშვილი, ორბელაძე, დ. სილაქაძე, უბერუბელიძე, სიქინავა, სირაძე, მ. ბურნაძე (ძამსაშვილი 82), სოსელია (მანჯავა 70), რ. ონიანი, მიქაძე, ხომერიკი (გოგინაშვილი 64). სათადარიგონი: ხაზარაშვილი; ხუბუტია, ქოქიაშვილი, გ. ონიანი. მწვრთნელი: რევაზ არველაძე |
| კოლხეთი: ბათიაშვილი, სანაძე, შილამბერიძე, ლონდაძე, მინდაძე, თაყაძე (ტყებუჩავა 74), ლალანიძე, ტულუში (ქუტიძე 62), აკობია, გაგუა, მილანია. სათადარიგონი: სანიკიძე; დ. ნარსია, მარგალიტაძე, ნ. ნარსია. მწვრთნელი: გია ტყებუჩავა |
| გაფრთხილება: აკობია (9), სიქინავა (60), ლონდაძე (62), მანჯავა (78), ონიანი (88) |
| მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (წყალტუბო); კ. მესხი (ზუგდიდი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: დ. რამიშვილი |
| ჯარიმა: 25-12; კუთხური 3-6; კარისკენ დარტყმა: 4-4; კარში დარტყმა: 9-5; თამაშგარე: 5-1 |

# სირაძემ მკლავი და ფეხი გაშალა

კახა შალამბერიძე

**მეშვიდე ტურის** მთავარ მატჩს მონაწილეები პრობლემებით შეხვდნენ. „ლოკომოტივი“ და „კოლხეთი“ ტრავმირებული ფეხბურთელების გამო შესუსტებული შემადგენლობით შეასკდნენ ერთურთს. დანაკლისი რკინიგზელებს უფრო ემძიმებოდათ. ტირანაში დაშავებულ რევაზ ქემოკლიძეს „მხარი აუბა“ ირაკლი ვაშაკიძემაც და მასპინძლებმაც ექსპერიმენტული დაცვის ხაზით ითამაშეს. ქემოკლიძე-ვაშაკიძის არყოფნა „ლოკომოტივს“ ძალიან დაეტყო.

კოლხებისაც ვთქვათ. კაპიტანი მიხეილ ქობულაძე ზღვისპირელთათვის რომ გვარიანი ძალაა, ამ ჩემპიონატშიც კარგად გამოჩნდა. მის არყოფნაში გია ტყებუჩავამ მოედნის ცენტრში ორი ბებერი ლომი — ზაველ ლალანიძე და თემურ ტულუში დააყენა, დაცვას კი ჯონი შალამბერიძე აკონტროლებდა. ლალანიძემ ქობულაძის არყოფნაში კაპიტნობაც იკისრა.

ახალი კაპიტანი რკინიგზაშიც გამოჩნდა. მოსკოვს გაფრენილი გიორგი ლომაიას დატოვებული სამკლავური დავით სირაძემ მოირგო, მოირგო და ალალიც არის. სირაძემ ეს ამბავი გოლითაც დაასველა, თუმცა მთავარი მანამდე მოხდა და ჩვენც თანმიმდევრობით მივყვეთ.

პირველ ტაიმში მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. „ლოკომოტივმა“ ოთხი რეალური მომენტი გაანიავა. რკინიგზელები უფრო მწვავედ და სწრაფად უტევდნენ, მაგრამ გულხელდაკრეფილი არც „კოლხეთი“ იყო. ეგ არის, ზღვისპირელებს შეტევის დაგვირგვინება ძალიან უჭირდათ, არადა, ერთი-ორჯერ ხელსაყრელ ეპიზოდებში უპატიებელი შეცდომები დაუშვეს.

სტუმართა კარის დაბომბვა კი მე-10 წუთზე დაიწყო. მიხეილ სოსელიამ ზედიზედ ორჯერ გაისროლა ძლიერად, მაგრამ ბათიაშვილმა პირველიც აილო და დამატებულიც. რამდენიმე წუთში სოსელიამ ასისტენტობა ითავა, მაგრამ ლევან ხომერიკმა ხუთი მეტრიდან თავური აცილა.

თავით დარტყმა ეგრე არ უნდაო და, ტაიმის მიწურულს დავით სირაძე ყველაზე მაღლა ახტა და... ბურთი ხარიხამ მოიგერია.

თითქოს „ლოკომოტივს“ გოლის გატანა მართებდა, მაგრამ სტადიონზე შეკრებილები უკვე საპირისპიროს ელოდნენ — ამდენი მომენტის ვერგამოყენებისთვის აუცილებლად დაისჯებიანო.

მეორე ნახევარიც დაიწყო და „კოლხეთმა“ კლანჭები გამოაჩინა. ის-ის იყო, სტუმრები მეტოქის „დაჭრას“ აპირებდნენ, რომ „ლახვარი“ ზურგში მოხვდათ: საჯარიმოში შესული გიორგი მიქაძე მცველთან ჭიდილში წაიქცა და დავით სანაიამ პენალტი დანიშნა. კოლხთა პროტესტმა, ცხადია, არ გაჭრა, თავად მიქაძემ კი შანსი ჩინებულად გამოიყენა — 1:0.



ბადრი ქათამაძის ფოტო

დავით სანაიამ კოლხების პროტესტს ყური არ ათხოვა

რევაზ არველაძის გუნდმაც რატომღაც სწრაფადვე დაიხია უკან, რამაც „კოლხეთს“ შვება მოჰგვარა. სტუმრები ბურთს კარგად აკონტროლებდნენ და თანდათან „ლოკომოტივის“ საჯარიმოში მობინე ბალახის გათელვაც დაიწყეს. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ. გაშვებული გოლიდან შვიდ წუთში უკვე მიხეილ თაყაძემ მოინადირა პენალტი. კოლხების სიხარული ნაადრევი გამოდგა — გრიშიკაშვილმა გაგუას დარტყმული გააუვნებლა.

მატჩის ბოლომდე სტუმართა უპირატესობა მაინც თვალსაჩინო იყო. „ლოკომოტივი“ კონტრშეტევაზე თამაშს ცდილობდა. საამისოდ არველაძემ ხომერიკის ნაცვლად მოედანზე ახალგაზრდა გოგინაშვილი შეუშვა, მაგრამ მასპინძლებს მაინც უჭირდათ მეტოქის ნახევარზე გადასვლა. კოლხებმა კი კარში ზუსტი, სახიფათო დარტყმა ვერ შეძლეს.

საბოლოოდ რევაზ არველაძის ჩანაფიქრმა ბოლო წუთზე გამოილო ნაყოფი. შეტევაში გართული სტუმრები გოგინაშვილმა გამოიჭირა და სირაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ახალგამომცხვარ კაპიტანს გოლის გატანა აღარ გასჭირვებია — 2:0.



ბადრი ქათამაძის ფოტო

დავით სირაძემ „კოლხეთს“ საქმე მოუთავა

# ბოლნისური ბორისური

ბოლნისი. 13 სექტემბერი. 17 საათი. თემურ სტეფანია 600 (ტევადობა 3 500)

## სიონი 1:0 ბათუმი

| |
|---|
| 1:0 გონჩაროვი (89 პ) |
| სიონი: გოლკოვი, ხუჯაძე, ჭიჭველიშვილი, კვეკვესკირი, გილაური (დაუშვილი 75), კოშკაძე, გუგუა (მ. წიფნიგაძე 68), გაბიდაური, გაბისკირია, გონჩაროვი (ფანჩულიძე 90), ისიანი. სათადარიგონი: შველაშვილი; დარსანია, ბ. შენგელია, გ. შენგელია. მწვრთნელი: ოთარ გაბელია |
| ბათუმი: ქვაჩახია, მახარაძე, ბეჟაშიძე, დუმბაძე, მ. სილუქაძე, ქიცარავა, ცანავა, ი. შენგელია, მანჩხავა, კაკალაძე, სირბილაძე. სათადარიგონი: ბალაძე; დარჩიძე, რომანაძე, იალამიძე, ფურცხვანიძე, ბეჟანიძე, ნემსაძე. მწვრთნელები: ვალერიან ჩხარტიშვილი და ახლან ბალაძე |
| გაფრთხილება: ცანავა (57) |
| მსაჯები: ა. ორჯონიძე (რიო); მ. ელიკაშვილი (თბილისი), ი. ადეიშვილი (დუშეთი); ა. შილამბერიძე (ქუთაისი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: გ. ცაავა |
| ჯარიმა: 11-19; კუთხური: 11-2; კარისკენ დარტყმა: 16-1; კარში დარტყმა: 11-2; თამაშგარე: 1-1 |

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

**„ბათუმი“** რომ ტრადიციულად უხერხული მეტოქეა „სიონისთვის“, შაბათის მატჩმაც ცხადყო. ფავორიტ მასპინძელს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ზღვისპირელთა გასატეხად. წარმატებული, მაგრამ სანერვიულო გამოდგა ბოლნისელთა კლუბში ოთარ გაბელიას დებიუტი.

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან აჯანჯღარეს მეტოქე. მიუხედავად „სიონის“ ნახევარმცველთა ინერტულობისა, გაბელიას გუნდმა მაინც შეძლო სრული სათამაშო უპირატესობის მოპოვება და მომენტს მომენტზე ქმნიდნენ დამხვდურები ქვაჩახის კართან. აქვე ვთქვათ „ბათუმის“ მეკარეზე — მთელი მატჩის განმავლობაში უშეცდომოდ და ეფექტურად გაისარჯა და გონჩაროვის პენალტი რომ არა, მატჩის გმირიც გახდებოდა.

„სიონმა“ საპირველტაიმო საგოლე შანსები ბოლნისურ წვიმას გაატანა და საქმე მეორე ნახევრისთვის გადადო. ლოგიკურად გამუდმებული დაცვით მოღლილი „ბათუმი“ უნდა გატეხილიყო, მით უფრო, რომ ზღვისპირელები სამარქაფოებით თამაშობდნენ, რაკიღა ბევრი ფეხბურთელი ჰყავთ დაშავებული. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, სტუმრები არ შემდრკალან, თავსაც მონდომებით იცავდნენ და მწვავე კონტრშეტევებითაც იჩხვლიტებოდნენ. 78-ე წუთი იყო, სირბილაძეს ჩხინკი გოლის გატანა რომ შეეძლო, მაგრამ კვეკვესკირმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. სტუმარს კონტრშეტევით ორ წუთშიც უნდა ეხეირა, მაგრამ ვოლკოვმა სასწაულებრივ გადაუგდო კუთხურზე ბურთი იმავე სირბილაძეს. მასპინძელთა საგოლე შანსების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. „სიონის“ უპირატესობაზე სტატისტიკაც მეტყველებს. ბოლნისელებმა მაშინ გაიტანეს, ცეცხლშენთებულ ქომაგს ბოლო იმედი რომ უკვდებოდა. პენალტი კოშკაძის წაქცევისთვის დაინიშნა და უნაკლოდ შეასრულა გონჩაროვმა.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



ლევან მელქაძემ თავისი „თბილისსაც“ გაუტანა

# ჯონის პოკერი გაუშალეს

თბილისი. 14 სექტემბერი. 17 საათი. შევარდენი. 500 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 0:4 დინამო

0:1 მელქაძე (37), 0:2 ბობოხიძე (53), 0:3 დარასელია (73), 0:4 ალექსიძე (80)

**თბილისი:** ივარდავა, სიდამონიძე, გემეზაშვილი, მემარნიშვილი, ნადირაშვილი, კვარაცხელია, მესხი, მიკუჩაძე (დათვაძე 70), დ. ოდიკაძე (გოგიტა გოგუა 58), აფციაური, დავითაშვილი (ჯაკობია 69)
*სათადარიგონი:* ნაჭყებია; ხოჯავა, ლოლაძე, მიქიაშვილი
**მწვრთნელი:** ჯონი ჯანელიძე

**დინამო:** ზოიძე, წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, კარლოსი (სახვაძე 83), გოგობერიშვილი, დარასელია, ბობოხიძე (კანდელაკი 65), ახალაია, მელქაძე (ალექსიძე 72)
*სათადარიგონი:* გვარამაძე; ი. სამხარაძე, ანჩაბაძე, იაშვილი
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**გაფრთხილება:** აფციაური (28)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); მ. მალაღურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** რ. შოთაძე

**ჯარიმა:** 14-22; **კუთხური:** 4-4; **კარში დარტყმა:** 7-9; **კარისკენ დარტყმა:** 4-7; **თამაშგარე:** 2-8

ვაჟა ხუციშვილი

**დედაქალაქური** დერბის სანახავად „შევარდენზე“ ბლომად მაყურებელი მოვიდა, მაგრამ „დინამომ“ მეტოქეს მესამე გოლი რომ გაუტანა, უმეტესობამ სტადიონი დატოვა.

„თბილისის“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე შეხვედრის დაწყებიდანვე აქტიურობდა, შეგირდებს მითითებებს აძლევდა, დროდადრო ხუმრობასაც გამოურევდა. შეიძლება ითქვას, რომ პირველმა ტაიმმა სწორედ მისი კარნახით (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) ჩაიარა.

მასპინძლებს დინამოელ ფორვარდთა ტრიო გამუდმებით აწუხებდა. მათ ფლანგებიდან კვირკველია და კარლოსიც მადიანად ეხმარებოდნენ. „თბილისმა“ მეტოქეს დასამუხრუჭებლად ოთხი მცველი და ამდენივე ნახევარმცველი დაუპირისპირა. სტუმართა გამუდმებული მოძრაობის გამო დამხვდურებს გვარიანი ჯაფა დაადგათ, მაგრამ „დინამოს“ შეტევებს მაინც გაუმკლავდნენ. სტუმრები ძირითადად ფლანგებიდან ჩაწოდებას იყენებდნენ, რასაც სახეირო არაფერი მოჰყოლია. ბობოხიძეს, ახალაიას და მელქაძეს მეურვეები აეკვიატნენ და თავისუფლად მოძრაობის საშუალებას არ აძლევდნენ. სამი კაცის ამოკეტვა მასპინძლებმა ათი წუთის მანძილზე კარგად შეძლეს, თუმც ერთ ეპიზოდში ახალაია მაინც დაუსხლტათ. ფორვარდმა კარის ძელიდან გამოვარდნილ ბურთს რატომ ვერ დაამატა, გაუგებარია. ამ მომენტს დარასელიას გაელვება მოჰყვა. საჯარიმოში ორი მცველი კოხტად ჩამოიცილა, მაგრამ კარი „დაკარგა“ და ხუთიოდ მეტრიდან დარტყმა გაუცუდდა.

ტაიმის შუაწელიდან დინამოელებმა საკუთარი ნახევრის სიღრმეში დაიხიეს და „თბილისმა“ ამ მატჩის საუკეთესო ნაწილი გამოაცხო.

აფციაურის, მიკუჩაძისა და დავითაშვილის „აფეთქების“ წყალობით ზოიძემ გამოცდა სამჯერ ჩააბარა. აფციაურის წამოწყებული კომბინაცია ზოიძესთან მიკუჩაძის პირისპირ გასვლით დასრულდა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა. მერე დავითაშვილის ჯერი დადგა, მას კი ისევ მიკუჩაძე მიჰყვა, მაგრამ „დინამოს“ მეკარემ კვლავ იყოჩაღა.

სამი გამოუყენებელი მომენტის გამო მასპინძლები დაისაჯნენ. მცველის ზურგსუკან მიმალულმა ახალაიამ ბურთი მოედნის სიღრმიდან მიიღო (ზოგიერთის ვერსიით ხელით გააჩერა) და მახვილი კუთხიდან დაჰკრა. ძელიდან ასხლეტილს მელქაძე დაუხვდა, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია.

შესვენების შემდეგ „თბილისმა“ გათანაბრება მოიწადინა, მაგრამ მეტოქემ კონტრშეტევებზე გამოიჭირა. ბევრი ხელსაყრელი მომენტიდან „დინამომ“ სამი შეირგო. მელქაძემ ბობოხიძე ივარდავასთან პირისპირ დატოვა და ანგარიში ორამდე გაიზარდა. მოგვიანებით დარასელიამ საჯარიმოში მცველი ჩამოიშორა და ზუსტი დარტყმით გაასამა, შეცვლაზე შესულმა ალექსიძემ კი ფლანგიდან კვირკველიას ჩაწოდებულ ბურთს ფეხი საგოლედ დაუხვედრა.

შეხვედრის მიწურულს დავით დათვაძემ ჯარიმა შეასრულა და ბურთი გაუნძრევლად მდგარი ზოიძის კარის ძელს მოარტყა. მიუხედავად მეორე ტაიმში გულიანი მცდელობისა, სულ ეს იყო, რითაც „თბილისმა“ ქომაგებს თავი დაამახსოვრა.



რატი ალექსიძე (№27) „დინამოს“ გოლით დაუბრუნდა

# მერცხალმა ფრთა კი ჩაიხუჭუჭა...

## ფრუიძეს გურიაში აწყენინეს

ოზურგეთი. 13 სექტემბერი. 17 საათი. ცენტრალური. 1 000 (ტევადობა 8 000)

## მერცხალი 0:0 ტორპედო

**მერცხალი:** გია გოგუა, კობაური, კვირკვია, მეცვანაძე, ქადიაშვილი, ბართია, ჯინჭარაული (გრიგოლიევი 88), ხუჭუა (სიამაშვილი 72), მებონია, კალანდაძე, გაბედავა
*სათადარიგონი:* როხაძე; ჩიჩუა, ბ. ილურიძე, ბ. წივწივაძე, მანჯავიძე
**მწვრთნელი:** სერგო გაბელაია

**ტორპედო:** სტურუა, ლ. ჭელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, კვეტენაძე (ლადაძე 88), გამეზარდაშვილი, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, ახალკაცი, კვერნაძე (მუშკუდიანი 85)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; გოგოლაძე, ზ. ქუთათელაძე
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**გაფრთხილება:** კობაური (60), კვეტენაძე (80)

**მსაჯები:** ა. მუმკოვი, ზ. მესიეშვილი, ზ. ხუციშვილი (სამივე თბილისი); გ. ახვლედიანი (ქარელი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** გ. ძამუკაშვილი

**ჯარიმა:** 23-18; **კუთხური:** 2-9; **კარისკენ დარტყმა:** 4-6; **კარში დარტყმა:** 3-3; **თამაშგარე:** 2-6

გოჩა ჯანაშია ოზურგეთიდან

**მიზეზთა გამო** ნამატჩევს ორივე გუნდი უკმაყოფილო ჩანდა შედეგით. „მერცხალი“ სატურნირო სიტუაციის გასამტკიცებლად ეშურებოდა მოგებას. ხოლო „ტორპედოს“ ქულების დაკარგვა არ სურდა გუნდთან, რომელმაც შინ უქულო „ბათუმთან“, ხოლო სტუმრად „დინამოსთან“ 1:8 წააგო.

მთლიანობაში მატჩი თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. მეტ-ნაკლებად აქტიურნი სტუმრები კი ჩანდნენ, მაგრამ მათ მცდელობებს მეტოქე რიგიანად იგერიებდა.

სერგო გაბელაიამ ჩემპიონთან სამარცხვინო მარცხის შემდეგ ეტყობა სწორი დასკვნა გამოიტანა და „მერცხალი“ ოდნავ სახეშეცვლილი დაუხვდა სტუმარს. შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება შეინიშნებოდა და ტაქტიკურადაც გუნდი სხვაგვარად გამოიყურებოდა. უცნაური იყო დავით ხუჭუას სათამაშო ამპლუა. მან შაბათს მარჯვენა ფლანგზე ირბინა გვარიანად და ძირითადად უკანახაზელებს ეხმარებოდა. ოზურგეთელებს თავდადებას ვერ წაართმევდი, მაგრამ მათი სისუსტე შეტევაში უნდა ვეძიოთ. წინ მარტოდ დარჩენილ გაბედავას ეპიზოდებში კალანდაძე კი ეხმარებოდა, მაგრამ „ტორპედოს“ გამოცდილ დაცვასთან ეს დიდი ვერაფერი შეღავათი იყო.

სტუმართა კოზირი წესით მეორე სართულზე ბრძოლა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტანმაღალთა სიმრავლე სოსო ფრუიძის გუნდმა იმ დღეს ვერ გამოიყენა. მართალია, ამ ფაქტორით რამდენიმე ხიფათი შეიქმნა მასპინძელთა კართან, თუმც ყველა ასეთ მცდელობას სიზუსტე აკლდა.

პირველ ტაიმში თავიდან ბრძოლა მოედნის ცენტრში იყო. კართან მიახლოება ორივე გუნდს უჭირდა. ამიტომაც იყო შორეული დარტყმებით რომ ჩხვლეტდნენ მეტოქენი ერთმანეთს. მერე კი თამაში გამოცოცხლდა. ხვადაგიანის უზუსტო თავურს ბართიას ნახევარბრუნში ეფექტური დარტყმა მოჰყვა. ტაიმის შუაწელში ნერგაძის შორეულ გასროლილს გოგუა შეეგება. შანსი კალანდაძესაც ჰქონდა, თუმც სიზუსტემ უმტყუნა.

ათიოდ წუთში ახალკაცის მზაკვრულად დარტყმულმა ბურთმა მილიმეტრებში ჩაუქროლა გოგუას კარის მარცხენა ძელს. წუთიც არ იყო გასული და მებონიამ ცაციათი სცადა გატანა, მაგრამ მასაც არ გაუმართლა. ბურთმა კარის ცხრიანში შესვლა არ ინება.

შესვენების შემდეგ სიმწვავემ ოდნავ იკლო. „ტორპედომ“ მარწუხებს მოუჭირა, თავის მხრივ „მერცხალიც“ უფრო ფხიზლად ათამაშდა და სახიფათო ეპიზოდებმაც იკლო. თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება სტუმრებმა კი მოიწადინეს, მაგრამ მთლიანობაში გამეზარდაშვილის თავურის გარდა ვერაფერს გამორჩნენ.

ტაიმის მესამედი რჩებოდა, მასპინძლებმა მეტოქეს თავი რომ შეახსენეს და ზედიზედ ორჯერ მწვავედაც შეუტიეს. ორწუთიან ინტერვალში ჯერ თოდუამ ივარგა — კორპუსით ჩაშალა მეტოქის შეტევა, მერე კი გამეზარდაშვილმა დაასწრო დასარტყმელად შემართულ ჭინჭარაულს და უეჭველი ხიფათიც აიცილა საკუთარ გუნდს.

„მერცხალის“ გამოცოცხლება ცუდად ენიშნათ სტუმართ და მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, მეტოქის საჯარიმოში გაშინაურებულმა ხვადაგიანმა მორიგ საჰაერო ორთაბრძოლაში კინაღამ გაიტანა. მან გოგუას კი აჯობა, მაგრამ ახლოდან კარში დარტყმა ვერ მოასწრო. ცოტა ხანში ეფექტურად დაჰკრა შესვლაზე შესულმა სიამაშვილმა, მაგრამ ბურთი ხარიხას გადააშორა.

მატჩის ბოლო სახიფათო ეპიზოდი სტუმრებმა შექმნეს. გამეზარდაშვილი კვლავ თავით აპირებდა სამი ქულის გამოჭედვას. თუმცა ისევ და ისევ სიზუსტემ დაალალატა.

პრესკონფერენციაზე სოსო ფრუიძე ნაწყენი ჩანდა. ჯერ იმით, რომ მისმა შეგირდებმა ისე ვერ ითამაშეს, როგორც საჭირო იყო და მეორე იმითაც, რომ მსაჯისგან პენალტს ითხოვდა. ის ეპიზოდი მეორე ტაიმის ბოლოსკენ შეიქმნა, როცა საჯარიმოში შეჭრილი კვერნაძე მცველთან ორთაბრძოლაში დაეცა, კონტაქტი კი იყო, მაგრამ საპენალტო ნაღდად არა.

„ტორპედომ“ მესამე საგარეო ცდაზე მოახერხა ქულის აღება, აი, გოლის გატანა სტუმრად კი სამერმისოდ გადადო. „მერცხალმა“ კი, მართალია, ოდენ ქულით, მაგრამ მაინც მოახერხა წაგებათა სერიის შეწყვეტა.



რევაზ გოცირიძემ (შუაში) მოედანი ამჯერად უგოლოდ დატოვა

# დაუოკებლობა შევარდენზე



ზურაბ მამალაძე ვეტერანარებმა ორჯერ დაამწუხრეს

დავით თავართქილაძე

**ჯიგრიანი** თამაში გამოვიდა. აუტსაიდერმა „სპარტაკმა“ „შევარდენის“ მინდორზე გული და სული დასდო, მაგრამ იღბალმა ზურგი შეაქცია — სტუმრები სულ მცირე ერთი გოლის გატანას მაინც იმსახურებდნენ.

ვიტელებმა პირველივე წუთებიდან მედგრად შეუტიეს, ხოლო ათითორმეტი წუთის შემდეგ შტურმისმაგვარიც მოუწყვეს მეტოქეს. მაგრამ „სპარტაკი“ მაგრად იდგა, რასაც რეალური საგოლე მომენტი ჰქვია, „ვიტ ჯორჯიას“ არ შეუქმნია. თანაც „სპარტაკი“ ყრუ დაცვაში როდი იჯდა — დროდადრო სწრაფ, მწვავე კონტრიერიშებსაც ახერხებდა, განსაკუთრებით თოდუა აქტიურობდა.

ტაიმის მიწურულს კი თამაში გათანაბრდა და მეტიც, ნელ-ნელა „სპარტაკი“ დაეუფლა უპირატესობას, ბურთს სტუმრები უფრო დიდხანს აკონტროლებდნენ, მაგრამ გამოუცდელობამ დაღალატათ — 44-ე წუთზე „სპარტაკის“ საჯარიმოში ბურთი რევაზ გოცირიძემ მიიგდო, რომელიც სპარტაკელმა მცველებმა რატომღაც არ შებოჭეს, ალბათ მისი საპენალტოდ წაქცევის შიშით, გოცირიძემ კი ბურთი კარს გასწვრივ გაგზავნა, შორეულ ძელთან ოთარ მარცვალაძე იყო ჩასაფრებული და ფაქტობრივად ცარიელ კარში გაიტანა.

შესვენების შემდეგ უფრო მეტს „ვიტ ჯორჯია“ უტევდა, მაგრამ „სპარტაკი“ გაუტეხელი იყო — რაც შეეძლო, იბრძოდა.

მასპინძლებმა რამდენჯერმე დახერიტეს „სპარტაკის“ დამცავი ეშელონები, თავურით მართებდა ანგარიშის გაზრდა გოცირიძეს, ეს თავური ალექსანდრე ინწკირველმა მოახერხა, რომელსაც თავით თენგიზ კობიაშვილმა უპასა.

გოლის გატანის კარგი შანსი ჰქონდა ალადაშვილს, მაგრამ ახლოდან დარტყმული პირდაპირ მირზა მერლანისკენ წავიდა.



ოთარ მარცვალაძე

დაუოკებელი იყო „ვიტ ჯორჯიაც“ — მარცვალაძეს დუბლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ მის 2-3 მეტრიდან დარტყმულს მამალაძე გადაელობა.

ბოლო წუთებზე „სპარტაკს“ პრესტიჟის გოლის გატანის ჩინებული შანსი მიეცა, მაგრამ ჩიკვილაძის თავური მერლანმა მოიგერია.

თბილისი. 13 სექტემბერი. 17 საათი. შევარდენი. 100 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:0 სპარტაკი

1:0 მარცვალაძე (44), 2:0 ინწკირველი (66)

ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, იმედაშვილი, ინწკირველი, ვ. გოგიაშვილი (ე. მერაბიშვილი 68), ნოზაძე, დოლმელაშვილი, დათუნაიშვილი, დეკანოსიძე (კვახაძე 65), მარცვალაძე, გოცირიძე (ბერელიძე 80)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ლ. მერებაშვილი, ზ. ლაბაძე, ფეიქრიშვილი
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

სპარტაკი: მამალაძე, ჟვანია, გურეშიძე (სილუქაძე 55), ებრალიძე, ჩიკვილაძე, იმნაიშვილი, ბოლქვაძე, ალადაშვილი, კვერენჩხილაძე, თოდუა, ბაკარაძე (ტატანაშვილი 80).
*სათადარიგონი:* შეყრილაძე, დონდოლაძე, ფირცხალავა, დოლიძე
მწვრთნელი: გახილ ქეიშვილი

გაფრთხილება: იმნაიშვილი (31), დათუნაიშვილი (40), კობიაშვილი (84), ებრალიძე (85)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ო. ხეცაძე მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილენკოვ; დირექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 11-8; კუთხური: 6-1; კარისკენ დარტყმა: 5-2; კარში დარტყმა: 5-3; თამაშგარე: 5-1

მცხეთა. 13 სექტემბერი. 17 საათი. არმაზი. 100 (ტევადობა 3 000)

## მცხეთა 0:1 დილა

0:1 ძოძუაშვილი (45)

მცხეთა: ცინაძე, ლ. ამბიძე, ჯაფარიძე, გ. ქებაძე, რაქვიაშვილი, ჩიტაური (პარამონოვი 46), თირქია, ჩაჩუა (მუშუქია 13), ლ. ქებაძე, მელიქია, ლ. ჩხაიძე
*სათადარიგონი:* ი. ოდიკაძე, ხიდაშელი, მგელაძე, ძაგნიძე
მწვრთნელი: ბესო მჭედლიშვილი

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, ლაცაბიძე, ლ. გოჩაშვილი, ჯობაძე (მარლიშვილი 86), რაზმაძე, გ. ჩიტაია, ძოძუაშვილი (მაისურაშვილი 90), ა. კაიდარაშვილი (ბ. ჩიტაია 74)
*სათადარიგონი:* ილურიძე, ოლგესაშვილი, ხანიშვილი, გ. კაიდარაშვილი
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ი. კახიანი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა; დირექტორი: პ. ბურჯალიანი

ჯარიმა: 18-17; კუთხური: 3-5; კარისკენ დარტყმა: 9-4; კარში დარტყმა: 3-4; თამაშგარე: 1-2

# ბარათაშვილის ახლებურად გაგებისთვის
## ფიქრნი მტკვრისპირას — რემიქსი

ვაჟა ხუციშვილი მცხეთიდან

**„მცხეთას“** მთავარი მწვრთნელის ადგილი ვლადიმერ პანოვის წასვლის შემდეგ თავისუფალია. საამმატჩოდ კი მცხეთელები ბესო მჭედლიშვილმა მოამზადა. გუნდს ძირითადი შემადგენლობის სამი ტრავმირებული ფეხბურთელი აკლდა. მათ შორის ფორვარდი ჩილვინაძე, ურომლისოდაც მასპინძლებს შეტევაში გაუჭირდათ. ახალმოკეთებული ლაშა ქებაძე ჯერ სასურველ ფორმაში არაა, მეცამეტე წუთზე კი ფეხმტკივანი ჩაჩუაც შესაცვლელი გახდა. მიუხედავად ასეთი აწეწილობისა, მასპინძლებმა ბოლომდე იბრძოლეს და ფრეს მაინც იმსახურებდნენ. ქულა რომ ვერ მიითვალეს, მომენტების გამოუყენებლობის ბრალია.

ერთზე მეტის გატანა გორელებსაც შეეძლოთ, მაგრამ ისინიც საკმაოდ სცოდავდნენ. სტუმრებს დისკვალიფიკაციამოხდილნი, მწვრთნელი ზურაბ ხორგუაშვილი და ფორვარდი ალექსანდრე კაიდარაშვილი დაუბრუნდნენ. „დილას“, შეიძლება ითქვას, რომ მთავარი კაცი — საბა სულთანიშვილი აკლდა. გორელი ნახევარმცველი მოწამლულა და მკურნალობს.

პირველი ტაიმის მესამედი თანაბარ ბრძოლაში მიილია. მეტოქეები ერთურთის საჯარიმოსკენ მოურიდებლად მიიწევდნენ, თუმც კარში დარტყმა კარგა ხანს ვერ მოახერხეს.

ორივე გუნდი თავიდან ფლანგებს მაინდამაინც არ ეტანებოდა. ცენტრიდან მოკლე პასებით დასარტყმელ პოზიციაზე ძოძუაშვილის გაყვანა გორელებმა ორჯერ შეძლეს, მაგრამ თავდამსხმელს ერთხელ მცველმა დაასწრო, მეორედ კი მეკარე გამოვიდა დროულად.

„მცხეთა“ უფრო კონტრშეტევებს დაუძმაკაცდა. შუახაზელები მოწინავეებს აქტიურად ვერ ეხმარებოდნენ და სწრაფი იერიშების დროს „დილას“ დაცვა ძირითადად სამეულს (ლაშა ქებაძე-მელიქია-ჩხაიძე) უმკლავდებოდა. მცხეთური „სამკუთხედი“ ტემპს და მიმართულებას საჭიროების მიხედვით ცვლიდა. შედეგად ორი ხელსაყრელი ეპიზოდი შექმნეს. ორჯერვე საჯარიმოს მარჯვენა კუთხესთან. ჯერ მელიქიას დარტყმული ასცდა კარს, მერე კი ჩხაიძისა.

ტაიმის დასრულებას წუთი რჩებოდა, გორელები მარჯვენა ფრთას რომ გაუყვნენ. ჯობაძემ იქიდან საჯარიმოში ჩააწოდა. კარის წინ ეულად დარჩენილი ძოძუაშვილის ფეხიდან ბურთი ხარიხას მოხვდა და ბადეს შიგნიდან მიესალმა. სტუმრებმა პირველ ნახევარში სულ ორჯერ დაარტყეს მეტოქის კარში და ერთხელ გაიტანეს.

შესვენების შემდეგ ჩიტაურის ნაცვლად მოედანზე პარამონოვი გამოჩნდა. მასპინძლებმა საჯარიმოში ჩაწოდებას მოუხშირეს, სადაც პარამონოვი იბრძოდა და მისი წყალობით სულ ცოტა სამი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შეიქმნა. გარდა ამისა შეცვლაზე შესულმა თავდამსხმელმა ორჯერ მარცხენა ფლანგიდან ბურთი ისე უცნაურად ჩაჰკიდა, სოლოლაშვილი დაიბნა, მაგრამ ამით მცხეთელებმა ვერ იხეირეს.

მეორე ტაიმის შუაწელიდან მასპინძლები მეტოქის ნახევარზე დამკვიდრდნენ. „დილა“ კონტრიერიშებზე გადაეწყო და ძოძუაშვილს ანგარიშის გაზრდა რამდენჯერმე შეეძლო. ყველაზე რეალური მომენტი შეხვედრის მიწურულს ჰქონდა. მცველი კოხტად ჩამოიშორა, დაჰკრა კიდეც მაგრამ ბურთი ხარიხას შეეჩეხა.

მატჩის ბოლოს „მცხეთამ“ მთელი გუნდით შეუტია. სტუმართა საჯარიმოში შექმნილ არეულობაში კვლავ პარამონოვმა იყოჩაღა, რომელმაც მელიქიას ბურთი კარის ხაზიდან ორ მეტრში დაუგდო. გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, თუმც სოლოლაშვილმა სასწაულებრივ მოიგერია. „დილამ“ პირველი გასვლითი მატჩი მოიგო და მათი გახარებული ქომაგებიც სტადიონს ყიჟინით გაეცალნენ, „მცხეთას“ პატრონი, ვლადიმერ გუცაევი კი, მარცხით უკმაყოფილო, მოედნის კიდესთან ჩაფიქრებული იჯდა.



მერაბ ძოძუაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 7 | 5 | 1 | 1 | 23:3 | 16 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 15:4 | 16 |
| სიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:5 | 14 |
| დილა | 7 | 4 | 1 | 2 | 10:5 | 13 |
| ტორპედო | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 11 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| კოლხეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 6:6 | 10 |
| თბილისი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:12 | 7 |
| მცხეთა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:16 | 7 |
| ბათუმი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:10 | 6 |
| მერცხალი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:17 | 5 |
| სპარტაკი | 7 | 1 | 1 | 5 | 2:16 | 4 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა V ტური

**არსენალი 1:1 პორტსმუთი**

0:1 შერინგემი (26), 1:1 ანრი (40პ)
არსენალი: ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, პირესი, ვიეირა, პარლოუ, ედუ (ლიუნგბერგი 70), ანრი, ბერხკამპი (ვილტორდი 74)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
პორტსმუთი: ჰისლოპი, შემელი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, ფიჰკოვიჩი, სტოუნი, ფეიე, ქუოში, ბერგერი (სმერტინი 34), შერინგემი (შერვუდი 90), აიეგბენი (რობერტსი 72)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: კემპბელი, ტურე, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, შემელი
მსაჯი: ვაილი
38 052 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:2 მანჩესტერ იუნ.**

0:1, 0:2 ვან ნისტელროი (62, 81)
ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, პერი, ჯ. ფორჩუნი, კ. პაუელი, გ. სტიუარტი, პარკერი (ლისბი 88), ჰოლანდი (ბარტლეტი 78), კ. იენსენი, იუელი, დი კანიო (ჯ. იოჰანსონი 83)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ოში, ფ. ნევილი, ბათი, როი კინი (სოლსკიაერი 59), კ. ფორჩუნი (სილვესტრი 83), გიგზი, ვან ნისტელროი, კ. რონალდო
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: იუელი, კიშიშევი, ბათი, ფ. ნევილი
გაძევება: იუელი (65)
მსაჯი: რაილი
26 078 მაყურებელი

**ჩელსი 4:2 ტოტენჰემი**

0:1 კანო (25), 1:1 ლამპარდი (35), 2:1, 3:1 მუტუ (37, 75), 3:2 კანო (87), 4:2 ჰასელბაინკი (90)
ჩელსი: კუდიჩინი, ბაბაიარო, დესაი, ტერი, მელხიოტი, გრონკიაერი (გალასი 70), პეტი (მაკელელე 65), ლამპარდი, დაფი (ჯ. კოული 73), ჰასელბაინკი, მუტუ
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ტოტენჰემი: კელერი, კარი, ე. გარდნერი, რიჩარდსი, ტარიკო (კონჩესკი 68), ანდერტონი (დალმა 60), რედნაპი, გ. რიკეტსი, კინგი (ბუნიევჩევიჩი 39), ზამორა, კანო
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ჰასელბაინკი, ზამორა, ტარიკო, რედნაპი, დალმა
მსაჯი: პოლი
41 165 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 4:1 ასტონ ვილა**

0:1 ანჯელი (31), 1:1 ანელკა (48პ), 2:1 ტარნატი (50), 3:1, 4:1 ანელკა (68პ, 83)
მანჩესტერ სიტი: სიმენი, ჟიხაი, სომეილი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი (სიბიერსკი 73), მაკმანამანი, ტ. სინკლერი, ანელკა, ვანჩოპე (კ. რეინა 82)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი, მელბერგი (ალფაი 37), იონსენი (პაჯი 66), ჯ. სამუელი, ჰენდრი, გ. მაკკანი, ჰიცლსპერგერი, უიტინგემი, პ. ანჯელი (დაბლინი 76), ოლბოკი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: იონსენი
მსაჯი: ჰალსი
46 687 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:2 ფულემი**

0:1 საჰა (1), 1:1 ფორსელი (45), 1:2 ბოა მორტე (78), 2:2 ფორსელი (82)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კენა (ტებილი 46), აპსონი, პარსი, კლეპამი, დ. ჯონსონი, სევიჯი, კლემენსი (ლაზარიდისი 64), დ. დანი, ფორსელი, ჯონი (მორისონი 70)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, გომა, ნაითი, ბონისელი, კლარკი, ბოა მორტე, ინამოტო (ჯეტუ 90), ლეგვინსკი, მალბრანკი (პემბრიჯი 64), საჰა (სავა 79)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ჯონსონი, გომა, ლეგვინსკი, ინამოტო, ბოა მორტე
მსაჯი: დანი
27 250 მაყურებელი

**ბლეკბერნი 1:3 ლივერპული**

1:0 იანსენი (8), 1:1, 1:2 ოუენი (12პ, 68), 1:3 კოუელი (90)
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, ლ. ამორუზო, ბაბელი, გრეშკო, ემერტონი, ფლიტკროფტი (თუგაი 70), ბ. ფერგიუსონი, დ. ტომპსონი (იორკი 64), ენდი კოული, იანსენი (დ. ბაჯო 64)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ბიშკანი, ჰიპია, კარაგერი (რიისე 18), დიუფი, ჯერარდი (ლე ტალეკი 85), შმიცერი, კიუელი, ოუენი, ბაროში (ჰესკი 5)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ამორუზო, ბაჯო, ფინანი, შმიცერი
მსაჯი: ბერი
30 074 მაყურებელი

**ევერტონი 2:2 ნიუკასლი**

0:1 შირერი (59პ), 1:1 რაძინსკი (67), 1:2 შირერი (82პ), 2:2 ფერგიუსონი (88პ)
ევერტონი: რ. რაიტი (მარტინი 26), პაიბერტი, იობო, სტაბსი, ნეისმიტი, უოტსონი (დ. ფერგიუსონი 63), გრაველსენი, ლინდეროტი, კილბეინი, რაძინსკი, რუნი (ჯეფერსი 30)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ე. ობრაიენი, ბრემბლი, ბერნარი, ბოიერი, დაიერი, ხპიდი (ჯენასი 71), რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: უოტსონი, ლინდეროტი, ჯეფერსი, რობერი, ფერგიუსონი, სტაბსი, რობერი, ბერნარი, გრიფინი, ბელამი, ჯენასი
გაძევება: რობერი (40), ნეისმიტი (58)
მსაჯი: სტაილზი
40 228 მაყურებელი

**ბოლტონი 2:0 მიდლსბრო**

1:0 დევისი (23), 2:0 ნგოტი (81)
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი (ფრანდსენი 69), ტომე, ლავილი (ნგოტი 28), რ. გარდნერი, იანაკოპულოსი, ნოლანი, კამპო, ოკოჩა, ჯორკაეფი (პედერსენი 75), კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, შ. დევისი, საუთგეიტი, კუპერი, მენდიეტა, გრინინგი, ბოატენგი, ზენდენი, ჟუნინიო პაულისტა (ჟობი 57), ნემეტი (მ. რიკეტსი 26)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: გარდნერი, ჯორკაეფი, ტომე, მილსი, კუპერი, ზენდენი
მსაჯი: დოუდი
26 419 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 2:0 ვულვერჰემპტონი**

1:0, 2:0 ბიტი (37პ, 52)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ლე სო, ფ. ფერნანდესი (ა. სვენსონი 90), ოკლი, ტელფერი, მარსდენი (ნ. მაკკანი 90), ბიტი, ფილიპსი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, ირვინი, კრადოკი, ბატლერი, ნეილორი, ნიუტონი (სილასი 77), კამერონი (ტ. გუდმონსონი 63), ინსი, კენედი, რაე (ივერსენი 83), ნ. ბლეიქი
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
გაფრთხილება: ტელფერი, ლე სო, ბიტი, კამერონი, კრადოკი, რაე, ინსი, ნეილორი
მსაჯი: რენიე
31 711 მაყურებელი

**ლესტერი — ლიდსი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

# აბრამოვიჩის ფარდობითობის თეორია
## მაისში გვნახეთ, ვინა ვართ!

**რომან აბრამოვიჩი** შაბათ დილით ჩამოფრინდა ლონდონში და ლიმუზინით მიადგა „სტემფორდ ბრიჯს", სადაც ყოველ შაბათს ორმოცი ათასი კაცი თავზეხელაღებით ღრიალებს ნაირგვარ სიმღერებსა და ლოზუნგებს და ამ ნაღრიალებში მომავალი დიდი გუნდის აშკარა იმედი მოისმის.

ამ შაბათს „ჩელსიმ" კიდევ ერთი ახალი კაცი, მადრიდიდან მოყვანილი კლოდ მაკელელე წარუდგინა თავის ხალხს. ფრანგი მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე, დღე კი კვლავ ადრიან მუტუსი იყო, რომელმაც ორი გოლი გაიტანა და ამით გადაჩრდილა ტოტენჰემელი ფრედერიკ კანო, რომელმაც ასევე დუბლი შეასრულა. დიახ, „ჩელსი" „ტოტენჰემს" მასპინძლობდა, რომლის მწვრთნელი, გლენ ჰოდლი უვარგისი შედეგების გამო გვარიანი დაწოლის ქვეშაა.

შედეგები საუცხოო აქვს კლაუდიო რანიერის, მაგრამ ტვირთი მისი უფრო მძიმეა, ვიდრე ჰოდლისა, რადგან კლუბის უფროსობის ნალაპარაკევი უკვე მთელმა ინგლისმა იცის: სეზონის ბოლოს მის სკამს სვენ გორან ერიკსონს შესთავაზებენ და თუ ის იუარებს, მაშინ გრემ სუნესს მოიწვევენ.

ამგვარი გამოცხადება გაუგებარი კია, მაგრამ აბრამოვიჩის ინვესტიციამ უკვე 250 მილიონ გირვანქას უწია და მიზანიც ალბათ გალაქტიკათაშორისი თასის მოგება თუ იქნება.

რახან „ჩელსის" ფანობის ღრიალი ვახსენეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ ზედ თამაშის წინ კლუბმა ქომაგებს შეახსენა, რომ ანტისემიტური შეძახილები სრულიად უადგილოა მათ სტადიონზე და ეს იმიტომ არ კეთდება, რომ კლუბის თავკაცის წარმომავლობა შეახსენოს მაყურებელს. უბრალოდ, „ტოტენჰემი" ტრადიციულად, ჩრდილოლონდონელ ებრაელთა ხელქვეით მყოფი კლუბი გახლავთ და ყოფილა, რომ დასავლეთლონდონელებს სწორედ ანტისემიტიზმის გამო შეუტევიათ მათთვის.

ასე იყო თუ ისე, „ჩელსიმ" საუცხოოდ ითამაშა, მოიგო კიდეც და ახლა, თამაშნაკლულობის გამო თუ ჩამორჩება „არსენალს" და „მანჩესტერს", რომელსაც ტრავმების ეპიდემიამ ნახევარდაცვა ხელიდან გამოაცალა, თუმცა რუუდ ვან ნისტელროის დუბლით, რომელიც რატომღაც თამაშგარეს გავდა, მაინც მოიგო ჩარლტონის „ველიზე". მანჩესტერელთა შეტევას ფერი შესძინა სასტარტოში მყოფმა კრისტიანო რონალდომ, ვინაც სულ ნაირგვარი ილეთები აკეთა, კაი პასებიც არიგა, გვარიანადაც მოხვდა და ბურთიც საკმაოჯერ დაკარგა, თუმცა მაინც ვარსკვლავური ბეჭედი დატოვა მოედანზე. სამაგიეროდ, კვანტი ელოდათ მეტოქეებს საკუთარ „ჰაიბერის" კოლოფზე, სადაც სტუმრებმა თავისი გააკეთეს: მეტოქე ქომაგები ისე ვერ იტანენ ტედი შერინგემს, რომ არ იქნებოდა, ამ კაცს ანგარიში არ გაეხსნა თავისი ხისტი თავურით.

„არსენალი", ცხადია, შეუტევდა და ასეც იყო, მაგრამ მეტოქეებს ამჯერზე ძალიან ჭკვიანი ჰარი რედნაპი და მისი კარგად შემსრულებელი ხელქვეითები დაუხვდნენ და ვინ იცის, რა მოხდებოდა, მსაჯ ალან ვაილის და რობერ პირესს პენალტი რომ არ გამოეგონათ. ფრანგი საჯარიმოში შეიჭრა და როცა დაატყო, რომ ბურთს ველარ ეწეოდა, პორტსმუთელ სტეფანოვიჩს წამოედო ფეხზე. ანრიმ ჯერ მარცხენა კუთხეში გაიტანა, მერე მარჯვენაში, რადგან ვაილიმ ინგლისელ მსაჯებში მოდაში შემოსული რამ მოითხოვა, პენალტი გაამეორებინა. თამაშის შემდეგ პირესმა მოუბოდიშა სტეფანოვიჩს, მსაჯმა მოიგონა ეგ პენალტიო. ჟურნალისტების შეკითხვას კი, პირესმა ეგ როგორ იკადრაო, არსენ ვენგერმა უპასუხა: „არ მგონია, ძალიან რომანტიკულები იყოთ, თუმცა, რომანტიკულები ხართ".

უარესი პენალტი დანიშნა იურაი რენიმ „საუთჰემპტონ" — „ვულვზის" თამაშში: წმინდანთა კევინ ფილიპსი ორ მცველს გასცდა, საჯარიმოში შევარდა და სწორედ იქ გასწია უგვანი ნახტომი. რენი წამოეგო, ჯეიმს ბიტიმ დღის კიდევ ერთი დუბლი შეასრულა, „საუთჰემპტონმა" კი კვლავ მოიგო და კიდევ ერთ დაუმარცხებელ გუნდად დარჩა. დუბლი კიდევ იყო, ასევე პენალტით: „ბლეკბერნი" მეტ იანსენის გოლით ამარცხებდა „ლივერპულს", რომელსაც მილან ბაროში მძიმედ დაუშავდა და შაბათს ღამითვე გაუკეთეს მოტეხილი კოჭის ოპერაცია, მაგრამ მაიკლ ოუენმა ჯერ პენალტიდან გაათანაბრა, მერე ორი მომენტი გააცუდა, ბოლოს კი მაინც შეაგდო და ზედიზედ მეორე თამაშში გამოუვიდა დუბლი. ერთიც გაშინაურებულმა ჰარი კიუელმა გაიტანა. კვლავ იყო დუბლი და ასევე იყო პენალტებიც, ალან შირერის ორი პენალტით, სამი წაგების შემდეგ კბილებალესილი „ნიუკასლი" ორჯერ უგებდა „ევერტონს", რომელიც პირველად ტომაშ რაძინსკიმ ამოასუნთქა, მეორედ კი, სულ ბოლო წუთზე ჯერაც დაუბერებელმა დანკან ფერგიუსონმა, რომელსაც „ნიუკასლშიც" უთამაშია, მაგრამ გულისფიცარზე „ევერტონის" ღერბი ამოუტვიფრავს ლურჯი მელნით: ამ სქოთმა ასევე პენალტით გაათანაბრა. ამასობაში კი ირკვევა, რომ ამ სეზონში „ნიუკასლის" მიერ გატანილი ყველა გოლის ავტორი ალან შირერია. ეს შირას სიდიადეზე მეტყველებს, მაგრამ არ ყოფნის სერ ბობი რობსონს, რომელმაც ჯერჯერობით ვერაფრით აათრია გუნდი ცხრილის ზედა ნაწილში. კვირა დილას კიდევ ერთი დუბლი შეასრულა მიკაელ ფორსელმა, „ბირმინგემისა" და „ფულემის" თამაში კი ასევე 2:2 დასრულდა.

კიგანის „სიტიმ" „ასტონ ვილას" ამბავი დამართა: შესვენებამდე ერთ ბურთს აგებდა და ჯამში სამით მოიგო, ნიკოლა ანელკამ კი ყველა დუბლი გადახაზა თავისი ჰეთ თრიქით, თუმც უპენალტოდ არც აქ გამოსულა საქმე: ახირებულმა ფრანგმა ნიშნულიდან ორი შეაგდო. სტივ მაკმანამანის მადრიდიდან მობრუნება სამშობლოში კი საუცხოო გამოსვლით დასრულდა, „სიტის" შეტევათა ახალი და საუცხოო მომწყობი გამოუჩნდა, რამაც კიგანს ათქმევინა: „მაისში გვნახეთ, ჩვენ მესამე ადგილზე ვიქნებით. ხალხს დაავიწყდა, რომ ანელკა მხოლოდ 24 წლისაა, სტივ მაკმანამანი კი დიდი ფეხბურთელი გახლავთ".

აქა-იქ ფრიალებდა წითელი ბარათებიც: ზოგი ტყუპი წიხლისთვის გააძევეს, ზოგიც ორ-ორი ყვითლით დაითხოვეს. მთელი ამ ორომტრიალის შემდეგ კი ისაა, რომ „არსენალი" კვლავაც პირველ ადგილზეა, „მანჩესტერი" მეორეზე, „ჩელსი" კი მესამეზე...

თუმცა, ეს ყველაფერი ფარდობითია, როგორც აბრამოვიჩი... უკაცრავად, აინშტაინი იტყოდა.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ნიუკასლიდან*

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 8 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 5;2 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 |
| 2 მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 7 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 |
| 3 სიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | 6 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 |
| 4 ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:6 | 4 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 3 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 5 პორტსმუთი | 5 | 2 | 3 | 0 | 8:3 | 5 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 6 საუთჰემპტონი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 3 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 7 ლივერპული | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 4 | 8 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 7 |
| 8 ბირმინგემი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
მე-3 ტური: კატანძარო — ბენევენტო 2:2; ფერმანა — ფოჯა 0:1; ჯულიანოვა — ტერამო 1:0; აკილა — პეზარო 1:3; პატერნო — კროტონე 1:2; სამბენედეტეზე — მარტინა 2:0; სორა — ლანჩანო 1:1; ტარანტო — აკირეალე 0:1; ვიტერბეზე — კიეტი 3:0

# დაპრდომილი ონილი ის დენს პარკზე მეშვიდედ ატირეს

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. V ტური

**რეინჯერსი 4:0 დანფერმლაინი**

1:0 ტომპსონი (7), 2:0 მოლსი (32), 3:0 შ. არველაძე (43), 4:0 ნუნუ კაპუშუ (66)

რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი, ბერგი (ვანოლი 46), ხიზანიშვილი, ბოლი, არტეტა, კოშტა, ნერლინგერი, მოლსი, ტომპსონი (ნუნუ კაპუშუ 20), შ. არველაძე (ლოვენკრანდსი 65)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

49 072 მაყურებელი

**დანდი 0:1 სელტიკი**

0:1 ბალდე (8)

დანდი: სპერონი, მაკეი (სარა 61), ვილკი, მაირი, ერნანდესი, რაე, სმიტი (ბრედი 80), ნემსაძე, ნოვო, კაბალიერო, ლოველი (ფოტერინგემი 77)

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

გაფრთხილება: ნემსაძე, ლოველი

10 647 მაყურებელი

**აბერდინი 2:1 პარტიკი**

1:0 ბუთი (6), 1:1 მიტჩელი (52), 2:1 ანდერსონი (76)

**ჰიბერნიანი 0:2 მოზერუელი**

0:1, 0:2 კლერკსონი (45, 75)

**კილმარნოკი 0:2 ჰარტსი**

0:1, 0:2 დე ვრიზი (14, 41)

**ლივინგსტონი 0:0 დანდი იუნ.**

ნერვების ფხაჭნა იყო „დენს პარკზე" — ემოციური მატჩი, რომელშიც ყველაფერი კლასში სხვაობამ გადაწყვიტა.

„სელტიკის" მენეჯერი მარტინ ონილი ისედაც შეწუხებული გახლდათ — ხვალ მიუნხენში „ბაიერნს" ეთამაშება და შვიდი კაცი ჰყავს ტრავმირებული, „დანდისთან" მატჩამდე კი ასეთი ორი ჰყავდა.

სტეფან ქრეინიმ ჯარიმა ჩააწოდა და ბობი ბალდემ ჯულიან სპერონის აულებელი დაურტყა — ასე გავიდა მატჩის ერთადერთი გოლი. „სელტიკს" მალევე უნდა გაეტანა მეორე, მაგრამ ჰენრიკ ლარსონს სპერონიმ აჯობა.

მე-20-ზე ონილმა ხელები თავში წაიშინა — ქრეინი ისე დაიმტვრა, შესაცვლელი შეიქნა — მაგრამ გავიდა ხუთი წუთი და დიდიე აგატი ყოვლად უსამართლოდ გააძევეს — ფრანგი მცველი ნაჩო ნოვოს ჩაუხტა ფეხებში და როგორც ვიდეოფირის ტრიალისას გაირკვა, სუფთად აართვა ბურთი, მაგრამ მაინც წითელი ბარათი აუფრიალეს.

მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენეს, არადა, „დანდის" უკვე 15 წელია, რაც „სელტიკისთვის" არ მოუგია.

თამაში ამის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა, დანდელთაგან ნოვო გამოირჩეოდა, რომელმაც 37 წუთზე ბურთი თავზე დაასვა სტივ ლოველს, ვინც ექვსი იარდიდან ხარიხას გადააცილო ის. სხვა რამ ღირსახსოვარი „დანდის" არ შეუქმნია, გიორგი ნემსაძე კი სტილიან პეტროვთან უხეშობისთვის გააფრთხილეს.

**დავით თაგართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 5 | 5 | 0 | 0 | 19:5 | 15 |
| სელტიკი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:2 | 13 |
| ჰარტსი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:1 | 12 |
| დანდი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| მოზერუელი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| დანფერმლაინი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| ჰიბერნიანი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| ლივინგსტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| აბერდინი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| კილმარნოკი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| პარტიკ თისლი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:9 | 2 |
| დანდი იუნაიტედი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | 1 |

### I დივიზიონი

მე-5 ტური: ბრეჩინი — სენტ მირენი 1:1; კლაიდი — სენტ ჯონსტონი 2:0; ფოლკირკი — როსი 0:2; ინვერნესი — ეარი 1:0; ქუინი — რეითი 0:2

### II დივიზიონი

მე-5 ტური: ალოა — არბროთი 2:2; დამბარტონი — ბერვიკი 1:1; ისტ ფაიფი — ერდრი 3:1; ფორფარი — მორტონი 2:3; ჰამილტონი — სტენჰაუზმური 2:0

### III დივიზიონი

მე-5 ტური: ალბიონი — მონტროუზი 0:1; კოუდენბითი — ქუინზ პარკი 0:1; ელგინი — გრეტნა 3:3; სტირლინგი — პიტერჰედი 3:1; სტრანრარი — ისტ სტირლინგი 4:0



დანდი — სელტიკი. სტილიან პეტროვს გევინ რაემ დარტყმა არ დაანება

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. VI ტური

**პსჟ 2:1 ტულუზა**

1:0 დიუზი (42ხ.კ.), 1:1 დიუზი (59), 2:1 პაინცე (68)

**ლიონი 1:1 ოსერი**

0:1 ჟ. სისე (28), 1:1 ელბერი (43)

**ლილი 1:1 მონაკო**

0:1 ჟიული (44), 1:1 მანჩევი (74)

**ბასტია 4:2 გენგამი**

1:0 ა. დიარა (16), 2:0 ბენ საადა (36), 2:1 გუსე (46), 3:1 ნე (51), 3:2 ლე რუ (68პ), 4:2 ნე (87)

**ბორდო 1:3 სოშო**

1:0 დარშევილი (22), 1:1 ფრო (24), 1:2 იზაბეი (76), 1:3 ფრო (80პ)

**მარსელი 5:0 ლე მანი**

1:0 დროგბა (13), 2:0 მარლე (24), 3:0 მიდო (53), 4:0 სიჩოვი (68), 5:0 მიდო (86)

**მეცი 2:1 მონპელიე**

1:0 ბორბისონი (5), 1:1 ბამოგო (62), 2:1 ტიავუ (90)

**ნიცა 1:0 ნანტი**

1:0 ჩერადი (10)

**რენი 2:0 ლანსი**

1:0 სორლენი (22), 2:0 ნგუემა (76)

**სტრასბური 3:2 აიაჩო**

1:0 ლიუბოია (3პ), 1:1 ბაგაიოკო (18), 2:1, 3:1 ნიანგი (22, 26), 3:2 უადა (33)

საფრანგეთში ლიდერი შეიცვალა. ალენ პერენის „მარსელმა" ლიგის ახალბედა „ლე მანი" ხუთი უპასუხო გოლით გაისტუმრა და ოცეულს თავში მოექცა. მარსელელებმა ბრწყინვალე შემტევი თაიგული შეკრეს — დიდიე დროგბას, დმიტრი სიჩევს და ეგვიპტელ მიდოს „ფულემიდან" სამშობლოში დაბრუნებული სტივ მარლე შეუერთდა და ალენ პერენის გუნდმაც გაილაღა.

შევნიშნოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში ფრანგები „სანტიაგო ბერნაბეუს" სტუმრობენ, სადაც გასულ შაბათს „რეალმაც" ხუთბურთიანი სხვაობით იმარჯვა.

„ველოდრომზე" შეკრებილ 57 ათასი გულშემატკივარი განსაკუთრებით ჰოსამ აჰმედ მიდომ მოხიბლა. ეგვიპტელმა მეტოქე გვარიანად დააწიოკა, პასებიც უხვად არიგა დ ორი გოლიც მიითვალა.

ზაფხულში ოდნავ გადახალისებულმა "ლიონმა" საკუთარი თამაში ჯერ ვერ იპოვა. ჩემპიონი ამჟამად ცხრილის შუაგულშია. ლიონელებმა შინ გი რუს „ოსერს" ვერ სძლიეს და მხცოვან მწვრთნელს ქულა გაატანეს. სტუმრების გოლი კონტრშეტევას მოჰყვა. ეტყობა, „ფეიენოორდიდან" გადასული ბუნავენტურე კალუ „ოსერს" კარგად შეეწყო. ჯიბრილ სისემ სწორედ კალუს ზუსტი პასი შეირგო და თავისები დააწინაურა.

„ლიონმა" პირველი ტაიმის მიწურულს გაქვითა. „ბაიერნისგან" დაწუნებულმა ელბერმა პირველი „ფრანგული" გოლი მიითვალა და პოლ ლე გუენი მარცხისგან იხსნა.

„მონაკო" ლუდოვიკ ჟიულის წყალობით ნახევარი საათის მანძილზე კერკეტ „ლილს" უგებდა, მაგრამ ფლავიო რომას შეცდომის გამო საბოლოოდ ოდენ ქულას დასჯერდა. რომამ მატია ბოდმერას დარტყმული ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და ლილელთა მთავარმეგოლე ვლადიმირ მანჩევიც იქვე გაჩნდა. ბულგარელმა ზუსტად დაამატა და გაათანაბრა.

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის პსჟ-მ ქომაგები კვლავ ანერვიულა. „პარკ დე პრენსი" მაშინ შეზანზარდა, ნიკოლა დიუზმა შესვენებამდე სამი წუთით ადრე ბურთი საკუთარ კარში რომ ჩაჭრა. პარიზელები სეზონში პირველი საშინაო გამარჯვებისთვის ემზადებოდნენ და დღესასწაული კინაღამ ჩაუმწარდათ. მაჩანჩალა „ტულუზმა" დედაქალაქელთა საჩუქარი ვერ შეირგო, რადგან დიუზმა კბილებალესილმა ირბინა და შეცდომა გამოასწორა — მოხდენილი თავურით მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა.

ამ მომენტიდან ათ წუთში არგენტინელმა მცველმა გაბრიელ ჰაინცემ ძელიდან ასხლეტილ ბურთს ლაზათიანად უთავაზა და პსჟ-მ მატჩი სათავისოდ დაასრულა.

ბორდოელები „სოშომ" არ დაინდო, რომლის მწვრთნელი გი ლაკომბი ოდესღაც „ბორდოს" მოთამაშე იყო. მასპინძლები ჟან კლოდ დარშევილის პენალტით დაწინაურდნენ, მაგრამ მერე მოდუნდნენ და „სოშომაც" სამჯერ იხეირა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 6 | 5 | 0 | 1 | 11:2 | 15 |
| მონაკო | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| ლილი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| ნიცა | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| სტრასბური | 6 | 3 | 1 | 2 | 11:7 | 10 |
| ნანტი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 10 |
| სოშო | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| ბასტია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 10 |
| ლანსი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:5 | 10 |
| რენი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 9 |
| ლიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| მეცი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| ბორდო | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| ოსერი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| აიაჩო | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| პსჟ | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| მონპელიე | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| გენგამი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| ტულუზა | 6 | 0 | 2 | 4 | 2:9 | 2 |
| ლე მანი | 6 | 0 | 2 | 4 | 1:11 | 2 |

### II დივიზიონი

მე-7 ტური. ტრუა — ნიორი 1:0; ამიენი — შატორუ 0:0; ბეზანსონი — სენტ ეტიენი 0:1; კაენი — გენიონი 2:1; კლერმონი — ანჟე 4:1; გრენობლი — ისტრი 0:1; ლავალი — ლე ავრი 1:1; რუანი — ნანსი 1:1; სედანი — ლორიანი 2:1; ვალანსი — კრეტეი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 8 | 6 | 2 | 0 | 11:1 | 20 |
| ამიენი | 8 | 4 | 3 | 1 | 7:4 | 15 |
| სენტ ეტიენი | 8 | 5 | 0 | 3 | 9:8 | 15 |
| ლე ავრი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| კლერმონი | 8 | 3 | 3 | 2 | 8:6 | 12 |
| ტრუა | 8 | 3 | 3 | 2 | 9:10 | 12 |
| ლორიანი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:9 | 11 |
| რუანი | 8 | 2 | 5 | 1 | 8:6 | 11 |
| კაენი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| ნიორი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:7 | 11 |
| გენიონი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:9 | 10 |
| ნანსი | 8 | 2 | 4 | 2 | 5:4 | 10 |
| ლავალი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:9 | 9 |
| შატორუ | 8 | 2 | 3 | 3 | 8:11 | 9 |
| კრეტეი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:12 | 9 |
| ვალანსი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:8 | 8 |
| ბეზანსონი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:9 | 8 |
| სედანი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:11 | 8 |
| ანჟე | 8 | 2 | 1 | 5 | 6:12 | 7 |
| გრენობლი | 8 | 0 | 5 | 3 | 4:8 | 5 |

# ვინ ეტყვის ელბერს, ჯოვანი, შე ბებეროო

## ბელგია

### იუპილერლიგა. V ტური

**ჰეუსდენი 0:1 სენტ ტრუიდენი**

0:1 იანსენი (4)

**ლოკერენი 0:6 ანდერლეხტი**

0:1 სეოლი (18), 0:2 კატანა (35ხ.კ.), 0:3 დოა (51ხ.კ.), 0:4 მორნარი (72), 0:5 ჰენდრიქსი (83), 0:6 დინდანე (85)

**შარლერუა 0:1 ანტვერპენი**

0:1 პივალიევიჩი (35)

**ბრიუგე 1:1 გენტი**

1:0 კლემანი (40), 1:1 მრდაკოვიჩი (87)

**ბევერსხოტი 0:0 ლუვიე**

**ვესტერლო 3:2 ბევერენი**

0:1, 0:2 კაიპერი (30, 39), 1:2 დოსუნმუ (62), 2:2, 3:2 პაასი (64, 81)

**სტანდარდი 0:2 გენკი**

0:1 დაერდენი (7), 0:2 იანსენი (90)

**მონსი 1:3 ლიერსი**

0:1 იმშოფი (14), 0:2 ტომპსონი (40), 1:2 ბანი (70), 1:3 დე ვილდე (87)

**მუსკრონი 4:0 სერკლ ბრიუგე**

1:0 ჟევლაკოვი (14), 2:0 დუგარდენი (42), 3:0 გრეგორი (54), 4:0 პიერონი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 5 | 5 | 0 | 0 | 16:2 | 15 |
| ბრიუგე | 5 | 3 | 2 | 0 | 11:4 | 11 |
| გენკი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| სტანდარდი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| გენტი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| ლიერსი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| სენტ ტრუიდენი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ლუვიე | 5 | 1 | 4 | 0 | 5:3 | 7 |
| ანტვერპენი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:8 | 7 |
| მუსკრონი | 5 | 1 | 3 | 1 | 10:8 | 6 |
| ვესტერლო | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| ბევერსხოტი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| სერკლი | 5 | 1 | 2 | 2 | 1:6 | 5 |
| ბევერენი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:13 | 3 |
| შარლერუა | 5 | 0 | 2 | 3 | 0:4 | 2 |
| ჰეუსდენი | 5 | 0 | 2 | 3 | 0:5 | 2 |
| მონსი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:12 | 2 |
| ლოკერენი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:10 | 2 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. VI ტური

**ალკმაარი 2:2 ფეიენოორდი**

0:1 კაიტი (9პ), 1:1 ვან გალენი (14), 2:1 ელხატაბი (43), 2:2 კაიტი (80)

**ბრედა 1:1 ტილბურგი**

0:1 ლანძაატი (7), 1:1 ს. ზეედორფი (89)

**ნაიმეგენი 2:1 ტვენტე**

0:1 ჯონი (18), 1:1 დე ფრეიტაში (47), 2:1 დ. დე ნოიერი (49)

**პსვ ეინდჰოვენი 2:1 უტრეხტი**

1:0 კეჟმანი (16), 2:0 ვან ბომელი (72), 2:1 ფუჯიტა (90)

**ჰერენვენი 1:0 გრონინგენი**

1:0 ჰანსონი (39)

**ზვოლე 0:0 როდა**

**როზენდალი 1:1 ვიტესი**

0:1 გ. ამოა (30), 1:1 მესპი (57)

**აიაქსი 4:1 ვალვაიკი**

1:0, 2:0 მაქსველი (21, 27), 3:0 გალაშეკი (47პ), 4:0 სონკო (61), 4:1 ბულარუზი (64)

**დენ ჰააგი 1:1 ვოლენდამი**

0:1 ტუიპი (10), 1:1 ბოდე (20)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 12 |
| პსვ | 4 | 3 | 1 | 0 | 12:4 | 10 |
| ვალვაიკი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ჰერენვენი | 4 | 3 | 0 | 1 | 3:2 | 9 |
| ალკმაარი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ფეიენოორდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ტილბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:7 | 7 |
| ნაიმეგენი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| გრონინგენი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| როდა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ბრედა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| როზენდალი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ვოლენდამი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| უტრეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ტვენტე | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| დენ ჰააგი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| ვიტესი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| ზვოლე | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | 1 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. IV ტური

**რიუ ავე 1:1 ბეირა მარი**

1:0 ფრანკო (16), 1:1 მ. ბაროში (40)

**ბენფიკა 3:3 ბელენენსეში**

1:0 ჟოაუ პერეირა (27), 2:0 მ. ფეხერი (54), 2:1 სანე (82პ), 3:1 ლუიზაუ (86), 3:2 სანე (90), 3:3 ლ. სილვა (90)

**სპორტინგი 2:0 ნასიონალი**

1:0 რონჩემბაკი (21), 2:0 ტონიტო (34)

**ფერეირა 0:1 მარიტიმუ**

0:1 ა. სილვა (63)

**ამადორა 1:2 მორეირენსე**

0:1 მანოელი (21), 1:1 საბრი (29), 1:2 ტიტო (84პ)

**ლეირია 1:3 პორტუ**

0:1 დერლეი სილვა (29), 1:1 მ. კუნია (59), 1:2 რ. ფერნანდეში (73), 1:3 მარკუ ფერეირა (76)

**გიმარაეში 1:2 აკადემიკა**

0:1 მონტეირუ (7), 1:1 ჟოზე (45), 1:2 ტიშიერი (66)

**ბრაგა 2:1 ჟილ ვისენტე**

0:1 გასპარი (6), 1:1 სადი (44), 2:1 რენივალდო (60)

**ალვერკა — ბოავიშტა**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიტიმუ | 4 | 4 | 0 | 0 | 4:0 | 12 |
| პორტუ | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| სპორტინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:7 | 9 |
| ბრაგა | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| ბოავიშტა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:3 | 6 |
| აკადემიკა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| მორეირენსე | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| ბენფიკა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ჟილ ვისენტე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| ბეირა მარი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ალვერკა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| გიმარაეში | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| ფერეირა | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | 3 |
| ბელენენსეში | 3 | 0 | 2 | 1 | 6:8 | 2 |
| რიუ ავე | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| ამადორა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| ლეირია | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

**I ეტაპი, I ტური**

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

**რჩება კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 19.09.03**

შტამპის ადგილი

**I ეტაპი, I ტური**
ჩაბარების ბოლო ვადაა 19.09.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

მისამართი ----------------------

საკონტაქტო ტელეფონი ----------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 20.09 | ფულემი - სიტი | | 19.00 | 20.09 | ფულემი - სიტი | |
| 19.00 | 20.09 | ლივერპული - ლესტერი | | 19.00 | 20.09 | ლივერპული - ლესტერი | |
| 19.00 | 20.09 | ტოტენჰემი - საუთჰემპტონი | | 19.00 | 20.09 | ტოტენჰემი - საუთჰემპტონი | |
| 18.30 | 20.09 | ბაიერნი - ლევერკუზენი | | 18.30 | 20.09 | ბაიერნი - ლევერკუზენი | |
| 18.30 | 20.09 | ფრაიბურგი - შალკე | | 18.30 | 20.09 | ფრაიბურგი - შალკე | |
| 18.30 | 20.09 | შტუტგარტი - დორტმუნდი | | 18.30 | 20.09 | შტუტგარტი - დორტმუნდი | |
| 18.30 | 20.09 | ბოხუმი - ჰერტა | | 18.30 | 20.09 | ბოხუმი - ჰერტა | |
| 23.00 | 20.09 | ოსერი - ბასტია | | 23.00 | 20.09 | ოსერი - ბასტია | |

A B

**I ეტაპი, II ტური** | **I ეტაპი, II ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.05 | 21.09 | მანჩესტერი - არსენალი | | 20.05 | 21.09 | მანჩესტერი - არსენალი | |
| 15.30 | 21.09 | ფეიენოორდი - პსვ | | 15.30 | 21.09 | ფეიენოორდი - პსვ | |
| 23.30 | 21.09 | იუვენტუსი - რომა | | 23.30 | 21.09 | იუვენტუსი - რომა | |
| 18.00 | 21.09 | პერუჯა - მილანი | | 18.00 | 21.09 | პერუჯა - მილანი | |
| 19.00 | 21.09 | პორტუ - ბენფიკა | | 19.00 | 21.09 | პორტუ - ბენფიკა | |
| 19.00 | 21.09 | ატლეტიკო - ვალენსია | | 19.00 | 21.09 | ატლეტიკო - ვალენსია | |
| 19.00 | 21.09 | მალაგა - რეალი | | 19.00 | 21.09 | მალაგა - რეალი | |
| 20.30 | 21.09 | ჰამბურგი - ჰანზა | | 20.30 | 21.09 | ჰამბურგი - ჰანზა | |

A B

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 20 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 20 სექტემბერს)

## პირველი ეტაპის კალენდარი

| ტური | თარიღი | საკონკურსო ბიულეტენი გამოქვეყნდება | |
|---|---|---|---|
| I | 20.09 | „სარბიელის“ 16,17,18 და 19 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| II | 21.09 | „სარბიელის“ 16,17,18 და 19 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| III | 24.09 | „ახალი ვერსიის“ 15 სექტემბრის ნომერში | უეფას თასი |
| IV | 24.09 | „ახალი ვერსიის“ 15 სექტემბრის ნომერში | უეფას თასი |
| V | 27.09 | „სარბიელის“ 20,23,24,25 და 26 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| VI | 28.09 | „სარბიელის“ 20,23,24,25 და 26 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| VII | 30.09 | „ახალი ვერსიის“ 22 და „ულტრას“ 23 სექტემბრის ნომრებში | ჩემპიონთა ლიგა |
| VIII | 1 .10 | „ახალი ვერსიის“ 22 და „ულტრას“ 23 სექტემბრის ნომრებში | ჩემპიონთა ლიგა |
| IX | 04.10 | „სარბიელის“ 27,30 09 და 1,2,3 ოქტომბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| X | 05.10 | „სარბიელის“ 27,30 09 და 1,2,3 ოქტომბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| XI | 11.10 | „ახალი ვერსიის“ 29 და „ულტრას“ 30 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ჩემპიონატის შესარჩევი |
| XII | 11.10 | „ახალი ვერსიის“ 29 და „ულტრას“ 30 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ჩემპიონატის შესარჩევი |

## თურქეთი

### სუპერლიგა. V ტური

სებატი — ელაზიგი 3:1; ანკარაგიუჯიუ — დენიზლი 1:1; ბურსა — გენჩლერი 0:0; ფენერბაჩე — გაზიანთეფი 3:1; რიზე — ტრაბზონი 1:0; ადანა — დიარბაქირი 2:1; სამსუნი — ისთანბული 3:3; ქონია — გალათასარაი 1:0; ბეშიქთაში — მალათია 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 5 | 5 | 0 | 0 | 13:4 | 15 |
| ისთანბული | 5 | 4 | 1 | 0 | 13:4 | 13 |
| ფენერბაჩე | 5 | 4 | 0 | 1 | 13:6 | 12 |
| გალათასარაი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| რიზე | 5 | 3 | 1 | 1 | 6:6 | 10 |
| მალათია | 5 | 3 | 0 | 2 | 11:6 | 9 |
| ქონია | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| ანკარაგიუჯიუ | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| ტრაბზონი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| ადანა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| დენიზლი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| გენჩლერი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| გაზიანთეფი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| სამსუნი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:16 | 4 |
| ელაზიგი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:16 | 4 |
| ბურსა | 5 | 0 | 3 | 2 | 2:5 | 3 |
| დიარბაქირი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:11 | 3 |
| სებატი | 5 | 1 | 0 | 4 | 6:11 | 3 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. VIII ტური

ადმირა — ბრეგენცი 0:1; შტურმი — აუსტრია 0:0; პაშინგი — მატერსბურგი 1:1; ზალცბურგი — კერნტენი 5:0; რაპიდი — გრაცერი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 8 | 6 | 2 | 0 | 19:9 | 20 |
| აუსტრია | 8 | 4 | 3 | 1 | 13:5 | 15 |
| გრაცერი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:10 | 13 |
| ბრეგენცი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:13 | 13 |
| პაშინგი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 |
| მატერსბურგი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:14 | 10 |
| კერნტენი | 8 | 1 | 5 | 2 | 6:14 | 8 |
| ადმირა | 7 | 2 | 1 | 4 | 8:7 | 7 |
| ზალცბურგი | 9 | 2 | 1 | 6 | 12:16 | 7 |
| შტურმი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:13 | 5 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXIV ტური

**დინამო 2:0 ურალანი**
1:0 ბატაკი (17), 2:0 დიატელი (75)

**როტორი 1:4 ზენიტი**
0:1 კერჟაკოვი (32), 0:2, 0:3 გორაკი (38, 50), 1:3 ესიპოვი (61პ), 1:4 ბისტროვი (77)

**რუბინი 1:0 შინიკი**
1:0 ბოიარინცევი (58)

**სატურნი 2:2 სპარტაკ-ალანია**
1:0 მედვედევი (2), 1:1 დადუ (4:), 1:2 ტუდორი (48), 2:2 მუსინერი (79)

**როსტოვი 2:1 კრილია სოვეტოვი**
1:0 მაქსიმოვი (13), 2:0 ოსინოვი (59პ), 2:1 ტიხონოვი (90პ)

**სპარტაკი 1:0 ტორპედო**
1:0 ტიტოვი (15)

**ჩერნომორეცი 1:2 ტ. მეტალურგი**
0:1 აიუპოვი (2პ), 1:1 ლეონოვი (4:), 1:2 ბელეცკი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 24 | 14 | 6 | 4 | 46:26 | 48 |
| დინამო | 24 | 12 | 7 | 5 | 39:23 | 43 |
| რუბინი | 24 | 12 | 7 | 5 | 34:21 | 43 |
| სატურნი | 24 | 11 | 9 | 4 | 33:22 | 42 |
| ზენიტი | 24 | 12 | 6 | 6 | 37:28 | 42 |
| ლოკომოტივი | 24 | 11 | 6 | 7 | 37:30 | 39 |
| შინიკი | 24 | 9 | 10 | 5 | 32:22 | 37 |
| კრილია | 24 | 8 | 9 | 7 | 30:25 | 33 |
| ტორპედო | 24 | 8 | 8 | 8 | 32:30 | 32 |
| როსტოვი | 24 | 8 | 8 | 8 | 27:32 | 32 |
| სპარტაკი | 24 | 9 | 4 | 11 | 34:40 | 31 |
| როტორი | 24 | 6 | 4 | 14 | 26:37 | 22 |
| ჩერნომორეცი | 24 | 5 | 6 | 13 | 23:34 | 21 |
| ალანია | 24 | 6 | 3 | 15 | 17:39 | 21 |
| ურალანი | 24 | 4 | 8 | 12 | 16:36 | 20 |
| ტ. მეტალურგი | 24 | 4 | 5 | 15 | 16:34 | 17 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. X ტური

**აარაუ 1:2 თუნი**
0:1 მ. შნაიდერი (11), 1:1 დე ნაპოლი (46), 1:2 რამა (60)

**ქსამაქსი 3:1 გრასჰოპერი**
1:0 მფუტი (8), 2:0 ფორშელე (65), 2:1 ლიხტშტაინერი (68), 3:1 იოონგა (83)

**ვილი 2:2 სერვეტი**
1:0 ლუსტრინენი (44), 1:1 გ. ობრადოვიჩი (47), 2:1 და სილვა (79), 2:2 ფაკე (90)

**იანგ ბოისი 0:0 სენტ გალენი**

**ციურიხი 0:1 ბაზელი**
0:1 ხ. როსი (4)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 10 | 10 | 0 | 0 | 34:9 | 30 |
| იანგ ბოისი | 10 | 6 | 1 | 3 | 20:15 | 19 |
| სერვეტი | 10 | 5 | 3 | 2 | 21:18 | 18 |
| ქსამაქსი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:13 | 14 |
| აარაუ | 10 | 3 | 4 | 3 | 13:13 | 13 |
| სენტ გალენი | 10 | 2 | 4 | 4 | 13:17 | 10 |
| გრასჰოპერი | 10 | 3 | 1 | 6 | 13:22 | 10 |
| თუნი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:21 | 10 |
| ციურიხი | 10 | 2 | 2 | 6 | 15:15 | 8 |
| ვილი | 10 | 1 | 3 | 6 | 14:24 | 6 |

### ჩელენჯლიგა. IX ტური

ბელინცონა — ივერდონი 1:2; ბული — კოლენი 1:1; კონკორდია — ვადუცი 1:3; კიასო — ანიო 2:2; დელემონი — ბადენი 4:3; კრიენსი — ლუცერნი 2:0; მეირინი — შო დე ფონი 2:2; შაფჰაუზენი — ვინტერთური 1:0

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XIX ტური

ალიანსი — კტპ 5:0; ლაჰტი — ჰაკ 0:0; იარო — ოლკერიტი 2:0; ჯაზი — ჰაკა 1:1; კუოპიო — ინტერი 0:3; მიუპა — ტურკუ 1:2. ჰააკენლინა — ტამპერე წუხელ გვიან დამთავრდა (ის. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 19 | 13 | 3 | 3 | 44:10 | 42 |
| ჰაკ | 19 | 11 | 5 | 3 | 34:14 | 38 |
| ალიანსი | 18 | 10 | 5 | 3 | 37:22 | 35 |
| ტამპერე | 18 | 10 | 3 | 5 | 27:13 | 33 |
| მიუპა | 18 | 9 | 3 | 6 | 32:20 | 30 |
| ტურკუ | 19 | 7 | 5 | 7 | 24:25 | 26 |
| იარო | 20 | 6 | 7 | 7 | 27:31 | 25 |
| ლაჰტი | 19 | 5 | 8 | 6 | 22:23 | 23 |
| ინტერი | 19 | 6 | 4 | 9 | 30:31 | 22 |
| ოლკერიტი | 19 | 5 | 5 | 9 | 21:29 | 20 |
| ჰაამენლინა | 18 | 5 | 4 | 9 | 16:35 | 19 |
| ჯაზი | 19 | 4 | 5 | 10 | 21:44 | 17 |
| კტპ | 18 | 5 | 1 | 12 | 23:39 | 16 |
| კუოპიო | 19 | 4 | 4 | 11 | 21:43 | 16 |

## საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“-ის დებულება და მასში მონაწილეობის წესები

1. კონკურსის ჩატარების ვადაა 2003 წ. სექტემბერი — 2004 წ. მაისი;

2. კონკურსის მონაწილე წარმოადგენს ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასის, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ, ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებიდან და სათასო შეხვედრებიდან აღებული და საკონკურსო ბიულეტენში მითითებული მატჩების პროგნოზს;

3. მიიღება მხოლოდ კონკურსის ჩამტარებელ გაზეთებსა და ჟურნალში გამოქვეყნებული საკონკურსო ბიულეტენები (ქსეროქსზე გადაღებული, კომპიუტერზე ამობეჭდილი და ა.შ. ბიულეტენები კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებენ და ჩაითვლებიან ბათილად);

4. საკონკურსო ბიულეტენი შედგება **A** და **B** ნაწილისაგან;

5. ერთნაირად შევსებული **A** და **B** ნაწილები კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ჩაბარების ადგილზე არა უგვიანეს საკონკურსო ბიულეტენზე აღნიშნული ვადისა, რის შემდეგაც მოხდება როგორც **B** (უნდა ჩაბარდეს), ასევე **A** (რჩება კონკურსანტთან) ნაწილის დამოწმება მიმღების მიერ;

6. საკონკურსო ჟიური მონაწილის შედეგზე იმსჯელებს მხოლოდ დამოწმებული და ჩაბარებული ბიულეტენის **B** ნაწილის მიხედვით. ჩაბარების ადგილზე მიმღები არაა ვალდებული, შეამოწმოს საკონკურსო ბიულეტენის **A** და **B** ნაწილების იდენტურობა. საკონკურსო ბიულეტენის **A** და **B** ნაწილებში მითითებული განსხვავებული პროგნოზის (ანგარიში, შედეგი) შემთხვევაში, პრეტენზიები არ მიიღება;

7. საკონკურსო ბიულეტენის **B** ნაწილში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს მონაწილის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი (სასურველია საკონტაქტო ტელეფონი) გასარჩევი კალიგრაფიით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად;

8. ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად თუ:
— დარღვეულია დებულების მე-5 პუნქტი,
— დარღვეულია დებულების მე-7 პუნქტი,
— გადასწორებული ან გადაშლილია ბიულეტენის **B** ნაწილში რომელიმე მატჩის პროგნოზი (ანგარიში).

9. ყოველი ტურის (ეტაპის) წინასწარი შედეგები (პირველი 25 შედეგი) გამოქვეყნდება შემდეგი ტურის (ეტაპის) დაწყების წინ, პრეტენზიები მიიღება შედეგების გამოქვეყნებიდან 1 კვირის განმავლობაში, რის შემდეგაც კონკურსანტის პროტესტი აღარ განიხილება და წინასწარი შედეგები (ტურის, ეტაპის) ჩაითვლება დამტკიცებულად;

10. კონკურსი ტარდება 10 ეტაპად;

11. კონკურსის თითოეული ეტაპი შედგება 12 ტურისგან;

12. კონკურსის თითოეულ ტურში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს 8 მატჩის პროგნოზი - ანგარიშის მითითებით;

13. მონაწილეს საკონკურსო ტურებში შეუძლია წარმოადგინოს პროგნოზთა ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტი (საკონკურსო ბიულეტენის ერთი **B** ნაწილი ითვლება პროგნოზის ერთ ვარიანტად), ამასთან, ჩაითვლება მხოლოდ ერთი — საუკეთესო ვარიანტი (კონკურსანტის შედეგი ტურში);

14. თითოეული მატჩის სწორი ანგარიშის გამოცნობისთვის მონაწილე მიიღებს 8 ქულას, შედეგის გამოცნობისთვის (ვერ გამოიცნო ანგარიში) 5 ქულას. გადადებული მატჩების შემთხვევაში (ტურში არა უმეტეს ორი მატჩისა) კონკურსანტს ჩაეთვლება ყოველ გადადებულ მატჩში შედეგის გამოცნობა. ორზე მეტი მატჩის გადადების შემთხვევაში, ტური გაუქმდება და დაინიშნება დამატებითი ტური;

15. კონკურსის თითოეულ ეტაპზე გამარჯვებული გამოვლინდება შვიდი საუკეთესო ტურის ქულათა ჯამის მიხედვით (ეტაპის თორმეტივე ტურში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში უარესი მაჩვენებელი არ ჩაითვლება და შეჯამდება მხოლოდ შვიდი საუკეთესო ტურის შედეგი);

16. იმ შემთხვევაში, როდესაც 2 (ორი, ან მეტი მონაწილე დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, ეტაპზე გამარჯვებულის გასარკვევად მხედველობაში მიიღება მერვე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეცხრე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეათე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეთერთმეტე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეთორმეტე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია ორივე (სუყველა) კონკურსანტი ჩაითვლება ეტაპის გამარჯვებულად და საპრიზო ფონდი თანაბრად გაიყოფა მათ შორის.

17. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება 6 საუკეთესო ეტაპის ქულათა ჯამის მიხედვით (იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი მიიღებს მონაწილეობას ათივე ეტაპში, უარესი მაჩვენებელი არ ჩაეთვლება და შეჯამდება მხოლოდ 6 საუკეთესო ეტაპის ქულები);

18. იმ შემთხვევაში, როდესაც 2 (ორი, ან მეტი მონაწილე დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, კონკურსში გამარჯვებულის გასარკვევად მხედველობაში მიიღება მეშვიდე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მერვე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეცხე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეათე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია გამარჯვებულს გამოავლენს ეტაპების ჩათვლაში არმიღებული ნებისმიერი 1 საუკეთესო ტურის მაჩვენებელი, თუ იგი თანაბარია - ეტაპების ჩათვლაში არმიღებული ნებისმიერი 2 საუკეთესო ტურის მაჩვენებელი, დ.ა.შ. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია ორივე (სუყველა) მონაწილე ჩაითვლება კონკურსის გამარჯვებულად და საპრიზო ფონდი თანაბრად გაიყოფა მათ შორის.

19. თითოეულ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ:
I ადგილი — 200 ლარი; II ადგილი — 100 ლარი; III ადგილი — 50 ლარი

20. კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან:
I ადგილი — სატელიტური ანტენა
II ადგილი — პერსონალური კომპიუტერი „პენტიუმ IV“
III ადგილი — მუსიკალური ცენტრი **SONY**,
IV ადგილი — ტელევიზორი **SONY**,
V ადგილი — ვიდეომაგნიტოფონი **SONY**,
ამასთან, მე-6 - 25-ე ადგილზე გასულ კონკურსანტთათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პრიზები.

21. საკონკურსო ბიულეტენები მიიღება:
*1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ.№37*
*2. მეტრო „ვაგზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8*
*3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“*
*4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური № 18 ატელიეს წინ*
*5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“*
*6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“*
*7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მაღაზია „თბილისი“*
*8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“*
*9. მეტრო „ღრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20*
*10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური № 17*
*11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური № 16*
*12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური № 15*
*13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)*
*14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)*
*15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 თოთხი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)*
ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი I ტური. დღეს

## E ჯგუფი

### მანჩესტერი — პანათინაიკოსი

### რეინჯერსი — შტუტგარტი

**დღეს ორი** ქართველი გადაიტანს ჩემპიონთა ლიგის სიმძიმეს. შოთა არველაძის და ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსი" „შტუტგარტს" დაუხვდება „აიბროქსზე".

ერთი შეხედვით, შოტლანდიელები ფავორიტები არიან. შინაურ ჩემპიონატში ქულადაუკარგავ „ჩაფრებს" თითქოს არ უნდა გაუჭირდეთ უშუალო კონკურენტის და, ნაკლებად სტაბილური „შტუტგარტის" ძლევა, თუმც გაგიკვირდებათ და ამ მოსაზრებას არ იზიარებს ჩაფართ-ჩაფარი ალექს მაკლიში. მწვრთნელი შოტლანდიური სიფრთხილით ჩაუჯდა ჟურნალისტებს და ცამდე აიყვანა მეტოქე. „გერმანელები გამართულ ფეხბურთს თამაშობენ. პროგრესული გუნდი ჰყავთ და მათთან დიდი ომი გველის. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოსაგებად გავალთ, მაგრამ თუ ეს ვერ შევძელით, არ გაგიკვირდეთ" — ამისთანებით დაზაფრა მაკლიშმა თანამემამულეები. მწვრთნელს იმის თქმაც არ დავიწყნია, რომ ჯგუფის ფავორიტი „მანჩესტერ იუნაიტედია" და „რეინჯერსს", „შტუტგარტსა" და „პანათინაიკოსს" მეორეობის თანაბარი შანსი აქვთ, ორი კონკურენტის ჩამოსაშორებლად კი 10 ქულა იქნება საჭირო.

მაკლიშისგან განსხვავებით, იმედიანადაა კრისტიან ნერლინგერი, გლაზგოელთა გერმანელი კაცი, რომელიც, ბუნებრივია, ყველაზე უკეთ იცნობს „შტუტგარტს". ექსდორტმუნდელმა ნერლინგერმა თქვა, ფიქრი ნუ გექნებათ, შტუტგარტელებს დავჭმუჭნით და მიწასთან გავასწორებთო.

მეტოქეს მარსელო ბორდონი არ ეყოლება. ეს კაცი ლიდერია „შტუტგარტში" და მის გარეშე უფრო გაგვიადვილდება მეტოქის მსხვრევაო, თქვა ნერლინგერმა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ გერმანელებთან აიბროქსულ 20 მატჩში „რეინჯერსი" მხოლოდ ორჯერ დამარცხებულა. E ჯგუფი რომ „მანჩესტერისაა", ეჭვს არ იწვევს. ინგლისელები ფავორიტები არიან და ფავორიტულად დაწყებასაც ფიქრობენ. ბერძნებს მებრძოლი ბიჭები ჰყავთ, მაგრამ საეჭვოა, ჯეროვანი წინააღმდეგობა გაგვიწიონო, ამბობენ მანჩესტერში. სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, ჯგუფის ექვსივე მატჩის მოსაგებად ვიბრძოლებთო. დღეს „პანათინაიკოსთან" სათამაშოდ საეჭვოა რონი კინის გასვლა. ბებერ ირლანდიელს ჯერაც ვერ მოუშუშებია მტკივანი მუხლი.

**პაატა ძვანტალიანი**

## F ჯგუფი

### პარტიზანი — პორტუ

### რეალი — მარსელი

**„რეალის"** ვარსკვლავთაგან ერთ-ერთ ყველაზე გამორჩენილს, ფრანგ ზინედინ ზიდანს, მშობლიური ქალაქის გუნდთან, მარსელის „ოლიმპიკთან" უწევს შეხვედრა.

„იმედი მაქვს, გოლის გატანის შესაძლებლობა არ მომეცემა, თუმცა თუ მაინც ჩამივარდა მომენტი, გავიტან, რადგან მოედანზე გრძნობებს მნიშვნელობა არ აქვს. „რეალის" შემადგენლობაში ჩვეულებრივად ვითამაშებ, თამაშის შემდეგ კი ისევ „მარსელს" ვუქომაგებ" — თქვა ზიდანმა.

ყველაზე უცხო კი „რეალის" დაცვა იქნება, სადაც დაშავებული ივან ელგერა ვერ ითამაშებს და ამიტომ ფრანსისკო პავონის მხარდამხარ დაცვის ცენტრში რაულ ბრავოს ვიხილავთ. რაც შეეხება „მარსელის" დაცვას, აქ სანახავი ბელგიელი დანიელ ვან ბუიტენი თუა, რომელსაც რონალდოსთან მოუწევს პირადი ბრძოლა.

აი, ბელგრადის „პარტიზანი" კი პირველი სერბული გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს უწია. თავდამსხმელი ანდრია დელიბაშიჩი: „რაკილა ასე ღრმად შევტოპეთ, ისიც ვიცით, ევროპის გრანდებს როგორ უნდა ვეთამაშოთ. საკუთარი თავისა გვწამს".

მაგრამ „პორტუსთან" თამაშის წინ ბელგრადელებს არ ეყოლებათ ტრავმირებული მეკარე ივიცა კრალი, რომელიც შაბათს დაშავდა. აქვე ვთქვათ, „პორტუს" მწვრთნელია ლოთარ მათეუსი, ცნობილი გერმანელი ვარსკვლავი.

პორტუგალიელებს დეკო და კოშტინია დაუბრუნდებათ, თუმცა დმიტრი ალენიჩევი ჯერ ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ არის. მწვრთნელი, ჟოზე მაურინიუ თვლის, რომ მის გუნდს, „მარსელსა" და „პარტიზანს" ჯგუფში მეორე ადგილისთვის შეუძლიათ ბრძოლა.



ზინედინ ზიდანი

## E ჯგუფი

### მანჩესტერი (ინგლისი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ფაბიენ ბარტეზი | 28.06.71 |
| 13 | როი კეროლი | 30.09.77 |
| 14 | ტიმ ჰოვარდი | 08.03.78 |
| 30 | ბენ უილიამსი | 27.08.82 |
| 44 | ლუკ სტილი | 24.09.84 |
| | **მცველები** | |
| 2 | გარი ნევილი | 18.02.75 |
| 3 | ფილ ნევილი | 21.01.77 |
| 5 | რიო ფერდინანდი | 07.11.78 |
| 6 | უესლი ბრაუნი | 13.10.79 |
| 22 | ჯონ ოში | 30.04.81 |
| 27 | მიკაელ სილვესტრი | 09.08.77 |
| 28 | მარკ ლინჩი | 02.09.81 |
| 35 | პოლ მაკშეინი | 06.01.86 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 8 | ნიკი ბათი | 21.01.75 |
| 11 | რაიან გიგზი | 29.11.73 |
| 15 | კლებერსონი | 19.06.79 |
| 16 | როი კინი | 10.08.71 |
| 18 | პოლ სქოულზი | 16.11.74 |
| 19 | ერიკ ჯემბა-ჯემბა | 04.05.81 |
| 25 | კვინტონ ფორჩუნი | 21.05.77 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | კრისტიანო რონალდო | 05.02.85 |
| 10 | რუუდ ვან ნისტელროი | 01.07.76 |
| 12 | დავიდ ბელიონი | 27.11.82 |
| 20 | ოლე გუნარ სოლსკიაერი | 26.02.73 |
| 21 | დიეგო ფორლანი | 19.05.79 |

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

### პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ანტონის ნიკოპოლიდისი | 14.10.71 |
| 12 | კონსტანტინოს ხალკიასი | 30.05.74 |
| 31 | ალექსანდროს ცორვასი | 12.08.82 |
| 33 | სტეფანოს კოცოლისი | 05.06.79 |
| | **მცველები** | |
| 2 | რენე ჰენრიკსენი | 27.08.69 |
| 3 | ნასიფ მორისი | 16.04.81 |
| 5 | იურკას სეიტარიდისი | 04.06.81 |
| 6 | მარკუს მიუნხი | 07.09.72 |
| 8 | იანის გუმასი | 24.05.75 |
| 16 | სოტირიოს კირიაკოსი | 23.07.79 |
| 30 | პანაიოტის ფისასი | 12.06.73 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | სილვიო მარიჩი | 20.03.75 |
| 10 | ჟოელ ეპალე | 20.02.78 |
| 14 | რაიმონდას ჟუტაუტასი | 04.09.72 |
| 18 | ლუჩიან სანმარტიანი | 13.03.80 |
| 20 | ანგელოს ბასინასი | 03.01.76 |
| 21 | ქსენოფონ გიტასი | 22.06.79 |
| 22 | მილტოს საპანისი | 28.01.76 |
| 27 | პანტელის კონსტანტინიდისი | 16.08.75 |
| 35 | იან მიკაელსენი | 28.1170 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | გორან ვლაოვიჩი | 07.08.72 |
| 9 | კშიშტოფ ვარჟიხა | 17.11.64 |
| 11 | დიმიტრიოს პაპადოპულოსი | 20.10.81 |
| 19 | მიხალის კონსტანტინუ | 19.02.78 |
| 23 | ემანუელ ოლისადებე | 22.12.78 |

მწვრთნელი: იცხაკ შუმი

### რეინჯერსი (შოტლანდია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | შტეფან კლოსი | 16.08.71 |
| 22 | ალან მაკგრეგორი | 31.01.82 |
| 29 | იესპერ კრისტიანსენი | 24.04.78 |
| | **მცველები** | |
| 2 | ფერნანდო რიკსენი | 27.07.76 |
| 3 | კრეიგ მური | 12.12.75 |
| 12 | რობერტ მალკოლმი | 12.11.80 |
| 15 | ზურაბ ხიზანიშვილი | 06.10.81 |
| 16 | პაოლო ვანოლი | 12.08.72 |
| 18 | მაიკლ ბოლი | 02.10.79 |
| 21 | მორის როსი | 03.02.81 |
| 25 | ჰენინგ ბერგი | 01.09.69 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | ემერსონი | 12.04.72 |
| 8 | კრისტიან ნერლინგერი | 21.03.73 |
| 14 | რონალდ დე ბური | 15.05.70 |
| 19 | სტივენ ტომპსონი | 14.10.78 |
| 20 | ნუნუ კაპუშუ | 21.02.72 |
| 23 | მიკელ არტეტა | 26.03.82 |
| 27 | სტივენ ჰიუზი | 14.11.82 |
| 33 | ბილი გიბსონი | 01.08.81 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | შოთა არველაძე | 22.02.73 |
| 9 | ეგილ ოსტენსტადი | 02.01.72 |
| 10 | მიხაელ მოლსი | 17.12.70 |
| 26 | პიტერ ლოვენკრანდსი | 29.01.80 |

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

### შტუტგარტი (გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ტიმო ჰილდებრანდი | 05.04.79 |
| 23 | დირკ ჰაინენი | 03.12.70 |
| 31 | დიეგო ბენალიო | 08.09.83 |
| | **მცველები** | |
| 2 | ანდრეას ჰინკელი | 26.03.82 |
| 3 | ტიმო ვენცელი | 30.11.77 |
| 5 | მარსელო ბორდონი | 07.01.76 |
| 6 | ფერნანდუ მეირა | 05.06.78 |
| 21 | ფილიპ ლამი | 11.11.83 |
| 28 | მიხაელ ფინკი | 01.02.82 |
| 29 | შტეფან დანგელმაიერი | 09.09.78 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 7 | სილვიო მაისნერი | 19.01.73 |
| 8 | იურიცა ვრანიეში | 31.01.80 |
| 12 | ჰაიკო გერბერი | 11.07.72 |
| 14 | ემანუელ სენტურიონი | 25.08.82 |
| 15 | ალექსანდრ გლები | 01.05.81 |
| 16 | ჰორსტ ჰელდტი | 09.12.69 |
| 20 | ზვონიმირ სოლდო | 02.11.67 |
| 25 | მიხაელ მუტცელი | 27.09.79 |
| 35 | სერჟ ბრანკო | 11.10.80 |
| 38 | ტობიას რატგები | 03.05.82 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 11 | იანის ამანატიდისი | 03.12.81 |
| 13 | კრისტიან ტიფერტი | 12.02.82 |
| 18 | კაკაუ | 27.03.81 |
| 19 | იმრე საბიჩი | 22.03.81 |
| 22 | კევინ კურანი | 02.03.82 |

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

## F ჯგუფი

### მარსელი (საფრანგეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ვედრან რუნიე | 10.02.76 |
| 16 | სედრიკ კარასო | 30.12.81 |
| | **მცველები** | |
| 3 | მანუელ დოს სანტოსი | 28.03.74 |
| 4 | დანიელ ვან ბუიტენი | 07.02.78 |
| 5 | ფილიპ კრისტენვალი | 31.08.78 |
| 8 | სებასტიან პერესი | 24.11.73 |
| 12 | აბდულაიე მეიტე | 06.10.80 |
| 21 | ჯონი ეკერი | 16.01.73 |
| 23 | ჰაბიბ ბეიე | 19.10.77 |
| 25 | ფაბიენ ლორანი | 06.01.83 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ბრაჰიმ ჰემდანი | 15.03.78 |
| 7 | სილვენ ნდიაიე | 25.06.76 |
| 14 | სტეპან ვახოუშეკი | 26.07.79 |
| 15 | პასკალ იოჰანსენი | 28.04.79 |
| 18 | კამელ მერიემი | 18.10.79 |
| 29 | ფაბიო ჩელესტინი | 31.10.75 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | აჰმედ ჰოსამ მიდო | 23.02.83 |
| 10 | ლუსიო ფერნანდაო | 18.03.78 |
| 11 | დიდიე დროგბა | 11.03.78 |
| 20 | სტივ მარლე | 10.01.74 |
| 22 | დმიტრი სიჩოვი | 26.10.83 |

მწვრთნელი: ალენ პერენი

### პარტიზანი (სერბეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | რადოვან რადაკოვიჩი | 06.02.71 |
| 27 | ჯორჯე პანტიჩი | 27.01.80 |
| 30 | ივიცა კრალი | 26.03.73 |
| | **მცველები** | |
| 2 | მილივოიე ჩირკოვიჩი | 14.04.77 |
| 3 | დრაგოლუბ ჟერემიცი | 09.08.78 |
| 5 | დეიან ოგნიენოვიჩი | 21.06.78 |
| 7 | მილან სტოიანოსკი | 16.09.73 |
| 16 | ტარიბო ვესტი | 26.03.74 |
| 20 | მილოვან მილოვიჩი | 24.10.80 |
| 21 | ბოჟან ზავიშიჩი | 09.08.79 |
| 24 | ბრანკო სავიჩი | 08.08.72 |
| 25 | ბრანიმირ ბაჟიჩი | 19.10.79 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | იგორ დულიაი | 29.10.79 |
| 11 | დამირ ჩაკარი | 28.06.73 |
| 14 | ნენად ჯორჯევიჩი | 07.08.79 |
| 15 | ნიკოლა მალბასა | 12.09.77 |
| 18 | ვლადიმირ ივიჩი | 07.05.77 |
| 22 | საშა ილიჩი | 30.12.77 |
| 26 | ტომაშ რჟასა | 11.03.73 |
| 28 | ალბერტ ნადი | 29.10.74 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 6 | ჟენან რადონჩიჩი | 02.08.83 |
| 9 | ანდრია დელიბასიჩი | 24.04.81 |
| 10 | ლუბინკო დრულოვიჩი | 11.09.68 |
| 17 | ივიცა ილიევი | 27.10.79 |
| 23 | ბოჟან ბრნოვიჩი | 10.02.79 |

მწვრთნელი: ლოთარ მათეუსი

### პორტუ (პორტუგალია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 13 | ნუნუ | 25.01.74 |
| 99 | ვიტორ ბაია | 15.10.69 |
| | **მცველები** | |
| 2 | ჟორჟე კოშტა | 14.10.71 |
| 3 | პედრუ ემანუელი | 11.02.75 |
| 4 | რიკარდუ კარვალიუ | 18.05.78 |
| 5 | რიკარდუ კოშტა | 16.05.81 |
| 7 | კარლუშ სეკრეტარიუ | 12.05.70 |
| 8 | ნუნუ ვალენტე | 12.09.74 |
| 22 | პაულუ ფერეირა | 18.01.79 |
| 30 | მარიუ სილვა | 24.04.77 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | რიკარდუ კოშტინია | 01.12.74 |
| 10 | დეკო სოუზა | 27.08.77 |
| 15 | დმიტრი ალენიჩევი | 20.10.72 |
| 16 | სეზარ პეიშოტო | 12.05.80 |
| 17 | ჟოზე ბოსინგვა | 24.08.82 |
| 18 | მანიჩე რიბეირუ | 11.11.77 |
| 23 | პედრუ მენდეში | 26.02.79 |
| 25 | რიკარდუ ფერნანდეში | 21.04.78 |
| 66 | ტიაგო | 04.07.75 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ედგარას იანკაუსკასი | 12.03.75 |
| 11 | დერლეი სილვა | 14.07.75 |
| 20 | მარკუ ფერეირა | 12.03.78 |
| 28 | ბრუნო მორაეში | 07.07.84 |
| 77 | ბენი მაკკარტი | 12.11.77 |

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

### რეალი (ესპანეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | იკერ კასილიასი | 20.05.81 |
| 13 | კარლოს სანჩესი | 19.01.78 |
| 25 | სესარ სანჩესი | 02.09.71 |
| | **მცველები** | |
| 2 | მიჩელ სალგადო | 22.10.75 |
| 3 | რობერტო კარლოსი | 10.04.73 |
| 4 | რუბენ გონსალესი | 29.01.82 |
| 6 | ივან ელგერა | 28.03.75 |
| 15 | რაულ ბრავო | 14.04.81 |
| 17 | ოსკარ მინამბრესი | 01.02.81 |
| 22 | ფრანსისკო პავონი | 09.01.80 |
| 28 | ხუან ოლალა | 13.01.80 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 5 | ზინედინ ზიდანი | 23.06.72 |
| 10 | ლუიშ ფიგუ | 04.11.72 |
| 14 | ხოსე მარია გუტი | 31.10.76 |
| 19 | ესტებან კამბიასო | 18.08.80 |
| 21 | სანტიაგო სოლარი | 07.10.76 |
| 23 | დევიდ ბექემი | 02.05.75 |
| 26 | ბორხა ფერნანდესი | 14.01.81 |
| 27 | ანტონიო ნუნიესი | 15.01.79 |
| 30 | რობერტო ტრაშორაში | 28.02.81 |
| 31 | ხორდი ლოპესი | 28.02.81 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | რაულ გონსალესი | 27.06.77 |
| 9 | რონალდო | 22.09.76 |
| 11 | ხავიერ პორტილიო | 30.03.82 |
| 29 | რიკი | 11.08.80 |

მწვრთნელი: კარლუშ კეიროში

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი I ტური. დღეს

## G ჯგუფი

### ბეშიქთაში — ლაციო
### სპარტა — ჩელსი

**„ჩვენ ევროპის** გზაზე დავდგებით და ახალ ისტორიას შევქმნით“ — თქვა კლაუდიო რანიერიმ. რატომ ვერ იტყოდა? მისი ვარსკვლავთკრებული ხომ კინაღამ სამ თანაბარ გუნდს მოიცავს. პრემიერლიგაში, კი ბატონო, სამი მატჩი მოიგო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა ხილია და კბილებიც სათანადოდ ალესილი სჭირდება. „ჩელსის“ საევროთასო გამოცდილება არ აკლია, თუმცა „სპარტაც“ ამ საქმეში ჭიპმოჭრილია.

პრაღელ ქომაგებს რაღა? რომან აბრამოვიჩის მისამართით მადლობის მეტი რა ეთქმით. კაცმა ყველა ვარსკვლავი (ვინც „რეალს“ გადაურჩა) მოაქუჩა და ჩეხეთის დედაქალაქში ბითუმად გააგზავნის. „სპარტას“ მწვრთნელი ირჟი კოტრბა ამბობს: „ჩემპიონთა ლიგას და შინაურ ჩემპიონატს საერთო არაფერი აქვს. ლიგაში ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს“, ანუ როგორი ძალგულოვანი მეტოქეც უნდა შეგვხვდეს, მუხლები არ აგვიკანკალდებაო.

მასპინძლებს ბრწყინვალე ფორმაში მყოფი კარელ პობორსკი ჰყავთ, რომელსაც ოდესღაც „ლაციოში“ ხუან სებასტიან ვერონის მხადრამხარ უთამაშია. „ვერონი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია — თქვა პობორსკიმ — ფიზიკურად ძლიერი, ტექნიკური და ამოუცნობი“. „სპარტას“ გამთამაშებელი ლუკას ჟელენკა ტრავმის გამო დააკლდება, „ჩელსის“ კი ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს.

პრაღელებმა ბოლო ექვსი საშინაო ევრომატჩიდან ხუთი მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს. საერთოდ კი, შინ ინგლისურ გუნდთან ოთხჯერ უთამაშიათ, ორში იმარჯვეს, ორიც წააგეს.

„ჩელსი“ ჩეხეთში ერთხელ ყოფილა და ის მატჩიც უგოლოდ დამთავრდა.

„ბეშიქთაშს“ იტალიურ კლუბებთან ამაზრზენი შედეგები აქვს. 8 დაპირისპირებიდან ერთიც არ მოუგია. გახსოვთ, ალბათ, რომ გასულ გაზაფხულზე „ბეშიქთაში“ „ლაციოს“ უეფას თასის მეოთხედფინალში გადაეყარა. რომაელებმა თურქები ორჯერვე (1:0, 2:1) წააქციეს.

მირჩა ლუჩესკუს გუნდს ამჟამად შურისმაძიებელი ჭია ღრღნის და „შავი არწივი“ ბრჭყალებს ილესავს. ოსმალებს მთავარმეგოლე ილჰან მანსიზი სამთვიანი მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდათ და ჩემპიონატის მატჩშიც ითამაშა. „როგორც დავიწყებთ, საქმეც ისე აგვეწყობა — თქვა მასპინძელთა კაპიტანმა ტაიფურ ჰაჯუტჯუმ — ამიტომ აუცილებლად მოგება გვჭირდება“. „ბეშიქთაშის“ მეკარე ოსკარ კორდობა: „გაზაფხულზეც „ლაციომ“ გვიმსხვერპლა და სიფრთხილე გვმართებს“.

რობერტო მანჩინის ტრავმირებული სინიშა მიხაილოვიჩი არ ეყოლება. მის ადგილს, სავარაუდოდ, ფერნანდუ კოუტუ დაიკავებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## H ჯგუფი

### ბრიუგე — სელტა
### მილანი — აიაქსი

**ჯგუფის** მთავარი მატჩი „სან სიროზეა“, წინა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტები გაარკვევენ ურთიერთობას. რონალდ კუმანს და მის სამწყსოს ერთთავად კარგად და ცუდად უნდა ახსოვდეთ გაზაფხული — ფილიპო ინძაგიმ და „შავ-წითლებმა“ ხომ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გამოგლიჯეს ნახევარფინალის საგზური „აიაქსს“.

თავის მხრივ, წლევანდელი ლიგის მოგებით დაწყება სურთ კარლო ანჩელოტის და ევროპის საკლუბო ჩემპიონებსაც. „მილანის“ ერთ-ერთი მწვრთნელი მაურო ტასოტი ამაღელვებელი განწყობით ეგებება დღევანდელ მატჩს: „აიაქსი“ რომ უხერხული მეტოქეა, ფაქტია. თუნდაც, შარშანდელი მეოთხედფინალური მატჩები გავიხსენოთ, მაგრამ ჩვენ ჩემპიონები ვართ. „მილანს“ მოგება წყალივით წყურია.“

და რა ხდება მეტოქეთა ბანაკებში? კარლო ანჩელოტი ამსტერდამელთა დასახვედრად 22 ფეხბურთელს ამზადებს, იგი მხოლოდ ფიორის, კალაძეს და პანკაროს მოისაკლისებს, სამივე ტრავმირებულია. ტიფოზებს კი უპირველესად შევჩენკოინძაგის მრისხანე დუეტის ეიმედებათ.

„აიაქსი“? რონალდ კუმანის უპირველესი იმედი ზაფხულში გადაბარგებული ბელგიელი ფორვარდი უესლი სონკია, თორემ კივუმ და ვან დერ მეიდემ გუნდი რომ დატოვეს, კარგა ხნის ცნობილია.

ვიგოს „სელტა“ ჩემპიონთა ლიგაში პირველადაა და მწვრთნელი მიგელ ანხელ ლოტინა წამყვან ფეხბურთელს მოისაკლისებს — რუსი პლეიმეიკერი ალექსანდრ მოსტოვოი დისკვალიფიცირებულია, მას შესარჩევ მატჩებში პრაღის „სლავიასთან“ ორი ყვითელი ბარათი დაუგროვდა. შესაძლოა, ვერც ფრანგმა ლუქსენმა და ბრაზილიური წარმოშობის კატანიამ ითამაშონ, ორივე ტრავმირებულია. მწვრთნელ ლოტინასაც სხვა რა გზა აქვს, ედუ-ხესული-გუსტავო ლოპესის ტრიოთი თუ დაკმაყოფილდება შეტევაში.

დორტმუნდის „ბორუსიას“ გამგებ ბელგიელ მწვრთნელ ტრონდ სოლიედს ყველა მწყობრში ჰყავს, მაგრამ ჯგუფური ეტაპის დაძლევის იმედი, როგორც ჩანს, ნაკლებად აქვს: „სელტა“ „ბორუსია“ არაა და მისი დაჯაბნაც შეგვიძლია. ცხადია, ვიბრძოლებთ, მაგრამ „მილანთან“ და „აიაქსთან“ ჭიდილი ძალიან ძნელია.“

**გიორგი მაზაძიძე**

## G ჯგუფი

### ბეშიქთაში (თურქეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ოსკარ კორდობა | 03.02.70 |
| 22 | რამაზან კურსუნლუ | 07.07.81 |
| 32 | ნევით ილდიზი | 30.09.80 |
| | **მცველები** | |
| 2 | ემრე აშიქი | 13.12.73 |
| 3 | ტაიფურ ჰავუტკუ | 23.04.70 |
| 4 | აჰმეთ ილდირიმი | 25.04.74 |
| 5 | რონალდუ გიარო | 18.02.74 |
| 19 | იბრაჰიმ უზულმეზი | 10.03.74 |
| 30 | ანტონიო კარლოს ძაგო | 18.05.79 |
| 55 | გიოქან ზანი | 07.09.81 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | იასინ სულუნი | 17.12.77 |
| 10 | სერგენ იალჩინი | 05.10.72 |
| 14 | უმით აიდინი | 16.01.80 |
| 17 | კაან დობრა | 14.03.72 |
| 20 | ფედერიკო კუნტი | 06.08.71 |
| 21 | სერდარ იოზქანი | 01.01.87 |
| 41 | სერდარ ტოპრაკტეპე | 25.08.76 |
| 67 | თუმერ მეთინი | 14.10.74 |
| 71 | ოკან კოჩი | 22.01.82 |
| 77 | აჰმედ ჰასანი | 02.05.75 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | აჰმეთ დურსუნი | 25.01.78 |
| 9 | დანიელ პანჩუ | 17.08.77 |
| 11 | სინან ქალოღლუ | 10.06.81 |
| 26 | ილჰან მანსიზი | 10.08.75 |

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

### ჩელსი (ინგლისი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 23 | კარლო კუდიჩინი | 06.09.73 |
| 31 | მარკო ამბროზიო | 30.05.73 |
| 34 | ნილ სალივანი | 24.02.70 |
| | **მცველები** | |
| 2 | გლენ ჯონსონი | 23.08.84 |
| 3 | სელესტინ ბაბაიარო | 29.08.78 |
| 6 | მარსელ დესაი | 07.09.68 |
| 13 | უილიამ გალასი | 17.08.77 |
| 15 | მარიო მელხიოტი | 04.11.76 |
| 18 | უეინ ბრიჯი | 05.08.80 |
| 26 | ჯონ ტერი | 07.12.80 |
| 29 | რობერტ ჰათი | 18.08.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | კლოდ მაკელელე | 18.02.73 |
| 8 | ფრენკ ლამპარდი | 20.06.78 |
| 10 | ჯო კოული | 08.11.81 |
| 11 | დემიენ დაფი | 02.03.79 |
| 12 | მარიო სტანიჩი | 10.04.72 |
| 14 | ჯერემი ნჯიტაპი | 20.12.78 |
| 17 | ემანუელ პეტი | 22.09.70 |
| 20 | ხუან სებასტიან ვერონი | 09.03.75 |
| 27 | ალექსის ნიკოლასი | 13.02.83 |
| 30 | იესპერ გრონკიაერი | 12.08.77 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | ადრიან მუტუ | 08.01.79 |
| 9 | ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი | 27.03.72 |
| 21 | ერნან კრესპო | 05.07.75 |
| 22 | ეიდურ გუდიონსენი | 15.09.78 |
| 28 | ფილიპე ოლივეირა | 27.05.84 |
| 39 | კარლტონ კოული | 12.10.83 |

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

### ლაციო (იტალია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ანჯელო პერუცი | 16.02.70 |
| 15 | ფაბრიციო კაზაცა | 16.09.70 |
| 33 | მატეო სერენი | 11.02.75 |
| | **მცველები** | |
| 2 | ფრანჩესკო კოლონეზე | 10.08.71 |
| 5 | ლუჩანო ძაურ | 20.01.78 |
| 11 | სინიშა მიხაილოვიჩი | 20.02.69 |
| 19 | ჯუზეპე ფავალი | 08.01.72 |
| 22 | მასიმო ოდო | 14.06.76 |
| 23 | პაოლო ნეგრო | 16.04.72 |
| 24 | ფერნანდუ კოუტუ | 02.08.69 |
| 31 | იაპ სტამი | 17.07.72 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | დემეტრიო ალბერტინი | 23.08.71 |
| 6 | უსმან დაბო | 08.02.77 |
| 8 | სეზარი | 24.10.74 |
| 10 | დეიან სტანკოვიჩი | 11.09.78 |
| 14 | სტეფანო ფიორე | 17.04.75 |
| 16 | ჯულიანო ჯანიკედა | 21.09.74 |
| 17 | გუერინო გოტარდი | 18.12.70 |
| 20 | ფაბიო ლივერანი | 29.04.76 |
| 53 | სერჟიუ კონსეისაუ | 15.11.74 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | კლაუდიო ლოპესი | 17.07.74 |
| 9 | ბერნარდო კორადი | 30.03.76 |
| 18 | რობერტო მუცი | 21.09.71 |
| 21 | სიმონე ინძაგი | 05.04.76 |

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

### სპარტა (ჩეხეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | პეტრ კოუბა | 28.01.69 |
| 29 | იაროსლავ ბლაჟეკი | 29.12.72 |
| 30 | მიხალ შპიტი | 09.04.75 |
| | **მცველები** | |
| 3 | ვლადიმირ ლაბანტი | 08.06.74 |
| 5 | იან ფლახბარტი | 03.03.78 |
| 16 | ტომაშ ჰუბშმანი | 04.09.81 |
| 17 | პეტრ იოჰანა | 01.11.76 |
| 18 | მირკო პოლედიცა | 11.09.78 |
| 19 | მარტინ პეტრაში | 02.11.79 |
| 22 | ირჟი ჰომოლა | 02.07.80 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | პაველ პერგლი | 14.11.77 |
| 6 | ირჟი როსიცკი | 11.11.77 |
| 7 | ლუკაშ ზელენკა | 05.10.79 |
| 8 | კარელ პობორსკი | 30.03.72 |
| 10 | რასტისლავ მიხალიკი | 14.01.74 |
| 11 | პატრიკ იეჟეკი | 28.12.76 |
| 12 | პაველ კრმაში | 03.03.80 |
| 15 | რადოსლავ კოვაჩი | 27.11.79 |
| 20 | ირჟი ნემეცი | 15.05.66 |
| 26 | მარტინ ზბონჩაკი | 21.07.75 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | მარეკ კინცლი | 03.04.73 |
| 13 | ვლადიმირ გლუშჩევიჩი | 20.10.79 |
| 14 | ლიბორ სიონკო | 01.02.77 |
| 21 | ტომაშ იუნი | 17.01.83 |
| 27 | იგორ გლუშჩევიჩი | 30.03.74 |

მწვრთნელი: ირჟი კოტრბა

## H ჯგუფი

### აიაქსი (ჰოლანდია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ბოგდან ლობონტი | 18.01.78 |
| 21 | მაარტენ სტეკელენბურგი | 22.09.82 |
| 31 | სანდერ ბოსხკერი | 20.10.70 |
| | **მცველები** | |
| 2 | ჰატემ ტრაბელსი | 25.01.77 |
| 3 | პეტრი პასანენი | 24.09.80 |
| 5 | ჯონ ობრაიენი | 29.08.77 |
| 14 | ქილ ვან დამი | 10.10.83 |
| 16 | ნაიჯელ დე იონგი | 30.11.84 |
| 22 | აბუბაქარი იაკუბუ | 13.12.81 |
| 23 | ზდენეკ გრიგერა | 14.05.80 |
| 34 | უოლკერი | 15.02.82 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | ჟულიენ ესკუდე | 17.08.79 |
| 6 | ტომაშ გალაშეკი | 15.01.73 |
| 8 | სტივენ პიენაარი | 17.03.82 |
| 10 | რაფაელ ვან დერ ვაარტი | 11.02.83 |
| 15 | მაქსველი | 27.08.81 |
| 18 | უესლი სნეიდერი | 09.06.84 |
| 20 | იარი ლიტმანენი | 20.02.71 |
| 26 | ენტონი ობოდაი | 06.08.82 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | ტომ სოტერსი | 21.07.80 |
| 9 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | 03.10.81 |
| 11 | ვიქტორ სიკორა | 11.07.78 |
| 17 | ვამბერტო | 13.12.74 |
| 19 | უესლი სონკი | 09.08.78 |
| 27 | სედრიკ ვან დერ გუნი | 05.05.79 |
| 28 | ნურდინ ბუხარი | 30.06.80 |
| 29 | ნიკოლაე მიტია | 24.03.85 |

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

### სელტა (ესპანეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | პაბლო კაბალიერო | 13.04.74 |
| 13 | ხოსე მანუელ პინტო | 08.11.75 |
| | **მცველები** | |
| 2 | ხუან ველასკო | 17.05.77 |
| 3 | სილვინიო | 12.04.74 |
| 4 | ფერნანდო კასერესი | 07.02.69 |
| 6 | ედუარდო ბერიზო | 13.11.69 |
| 12 | მანოლო სანჩესი | 27.09.76 |
| 14 | გუსტავო ხუანფრანი | 15.07.76 |
| 15 | პაბლო კონტრერასი | 11.09.78 |
| 17 | სებასტიან მენდესი | 07.04.77 |
| 23 | სერხიო ფერნანდესი | 23.05.77 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 5 | ოსკარ ჯოვანელა | 13.09.70 |
| 7 | ვაგნერ ლოპესი | 19.03.73 |
| 8 | ანხელ ლოპესი | 10.03.81 |
| 10 | ალექსანდრ მოსტოვოი | 22.08.78 |
| 16 | ხოსე იგნასიო საესი | 28.09.73 |
| 19 | ედუ | 10.01.79 |
| 21 | ხანდრო | 27.02.79 |
| 22 | პეტერ ლუქსენი | 09.04.79 |
| 28 | ბორხა ოუბინია | 17.05.82 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | სავო მილოშევიჩი | 02.09.73 |
| 11 | გუსტავო ლოპესი | 12.04.73 |
| 20 | ხესული | 24.01.78 |
| 24 | ენრიკე კატანია | 06.03.72 |

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

### ბრიუგე (ბელგია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | დენი ვერლინდენი | 15.08.63 |
| 13 | ტომისლავ ბუტინა | 30.03.74 |
| 23 | სტიინ სტიინენი | 07.04.81 |
| | **მცველები** | |
| 2 | ოლივიე დე კოკი | 09.11.75 |
| 3 | ტიმი სიმონსი | 11.12.76 |
| 4 | დავიდ როზენალი | 05.07.80 |
| 5 | პეტერ ვან დერ ჰიდენი | 16.07.76 |
| 6 | ფილიპ კლემანი | 22.03.74 |
| 15 | მარეკ შპილარი | 11.02.75 |
| 25 | ჰანს კორნელისი | 13.10.82 |
| 26 | ბირგერ მარტენსი | 28.06.80 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 7 | გერტ ვერჰეიენი | 20.09.70 |
| 8 | ჟატან ენგლებერტი | 11.06.76 |
| 10 | ნასტია ჩეჰი | 26.01.78 |
| 16 | სერგეი სერებრიანიკოვი | 01.09.76 |
| 17 | ივან გვოზდენოვიჩი | 19.08.78 |
| 19 | რენე ლანგე | 24.06.77 |
| 20 | ალინ სტოიკა | 10.12.79 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ბენგტ შატერნსი | 01.01.75 |
| 11 | სანდი მარტენსი | 23.12.72 |
| 18 | ანდრეს მენდოსა | 26.04.78 |
| 24 | ტიმ სმოლდერსი | 26.08.80 |
| 28 | იოსიპ შიმიჩი | 16.09.77 |

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

### მილანი (იტალია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ვალერიო ფიორი | 27.04.69 |
| 12 | ნელსონ დიდა | 07.10.73 |
| 77 | კრისტიან აბიატი | 08.07.77 |
| | **მცველები** | |
| 2 | მარკოს კაფუ | 07.06.70 |
| 3 | პაოლო მალდინი | 26.06.68 |
| 4 | კახა კალაძე | 27.02.78 |
| 13 | ალესანდრო ნესტა | 19.03.76 |
| 14 | დარიო შიმიჩი | 12.11.75 |
| 19 | ალესანდრო კოსტაკურტა | 24.04.66 |
| 24 | მარტინ ლაურსენი | 26.07.77 |
| 26 | ჯუზეპე პანკარო | 26.08.71 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 5 | ფერნანდო რედონდო | 06.06.69 |
| 8 | ჯენარო გატუზო | 09.01.78 |
| 10 | მანუელ რუი კოშტა | 29.03.72 |
| 11 | ვიტორ ბორბა რივალდო | 19.04.72 |
| 20 | კლარენს ზეედორფი | 01.04.76 |
| 21 | ანდრეა პირლო | 19.05.79 |
| 22 | რიკარდო კაკა | 22.04.82 |
| 23 | მასიმო ამბროზინი | 29.05.77 |
| 27 | კლაუდიო სერჯინიო | 27.06.71 |
| 32 | კრისტიან ბროკი | 30.01.76 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | ანდრეი შევჩენკო | 29.09.76 |
| 9 | ფილიპო ინძაგი | 09.08.73 |
| 15 | იონ დალ ტომასონი | 29.08.76 |
| 18 | მარკო ბორიელო | 18.06.82 |

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით**


| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. VIII ტური** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 014 | ბარნლი-ნოტინგჰემი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.45 | 015 | ქრიუ-უესტ ჰემი | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 23.45 | 016 | გილინგემი-ნორვიჩი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.45 | 017 | იფსვიჩი-უოლსოლი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.45 | 018 | მილუოლი-უიმბლდონი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 23.45 | 019 | პრესტონი-ქოვენტრი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 23.45 | 020 | შეფილდი-როტერჰემი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 021 | სტოუკი-სანდერლენდი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 24.00 | 022 | კრისტალ პალასი-ბრედფორდი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1.09 | 1,22 | 2,1 |
| 24.00 | 023 | რიდინგი-კარდიფი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 24.00 | 024 | უიგანი-უესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 025 | დერბი-უოტფორდი | 2.05 | 3.2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. VIII ტური** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი.** | | | | | | |
| 23.45 | 041 | ბარნსლი-ოლდჰემი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1.09 | 1,21 | 2,05 |
| 23.45 | 042 | ბორნმუთი-უიკომი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 23.45 | 043 | ბრენტფორდი-ბლეკპული | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 23.45 | 044 | ბრაიტონი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 23.45 | 045 | ბრისტოლი-ტრანმერი | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 23.45 | 046 | გრიმსბი-სუინდონი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 23.45 | 047 | ლუტონი-პორტ ვეილი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 23.45 | 048 | ნოტსი-რაშდენი | 2.6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.45 | 049 | პიტერბორო-პლიმუთი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 23.45 | 050 | სტოკპორტი-ჰარტლპული | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 23.45 | 051 | რექსემი-ქუინს პარკი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.45 | 052 | უისემი-კოლჩესტერი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. VIII ტური** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 068 | ჩელტენჰემი-ოქსფორდი | 2,4 | 3,2 | 2,8 | 1,37 | 1,29 | 1,49 |
| 23.45 | 069 | ლინკოლნი-იორკი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 23.45 | 070 | კიდერმინსტერი-სკანთორპი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 23.45 | 071 | ლეიტონი-ჰალი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 23.45 | 072 | მენსფილდი-ბური | 1,8 | 2,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 23.45 | 073 | ნორთჰემპტონი-კარლაილი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 23.45 | 074 | როჩდეილი-ჰადერსფილდი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 23.45 | 075 | საუთენდი-ლინკოლნი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 23.45 | 076 | სუონსი-მაკლსფილდი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 23.45 | 077 | ტორკი-ბოსტონი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 23.45 | 078 | იორკი-დარლინგტონი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 079 | ბოსტონი-კემბრიჯი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 252 | ელჩე-ლას პალმასი | 2,4 | 2,8 | 2,9 | 1,29 | 1,31 | 1,42 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 365 | გრაცერი-ავსტრია | 2.45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 366 | ადმირა-პაშინგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 367 | ბრეგენცი-რაპიდი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 382 | ბელინცონა-ვადუცი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| | | **დანია. სუპერლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 383 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1.24 |
| 22.00 | 384 | ორჰუსი-ესბიერგი | 1.8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.00 | 385 | ბრონდბიუ-ოლბორგი | 1.5 | 3.8 | 6,0 | 1,07 | 1.2 | 2.32 |
| 22.00 | 386 | ესბიერგი-ფრემი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 22.00 | 387 | ჰერფოლგე-ოდენსე | 3,3 | 3.3 | 2,05 | 1,65 | 1,26 | 1,26 |
| 22.00 | 388 | მიდტიულანდი-ნორდშელანდი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 419 | ჰამარბი-ორგრიუტე | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 431 | ოსტერი-იფკ მალმო | 1,9 | 3,5 | 3,2 | 1,23 | 1,19 | 1,67 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი. XXI ტური** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 452 | მოსი-ოსლო ისტი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| | | **ნორვეგია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 682 | ჰაუგესუნდი-როსენბორგი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| | | **პოლონეთი. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 687 | გურნიკი-ლეგია | 2,7 | 3,1 | 2,35 | 1,44 | 1,25 | 1,33 |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 688 | პოლონია-ლეხი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 689 | რეინჯერსი-შტუტგარტი | 2.05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1.27 | 1,64 |
| 23.45 | 690 | მანჩესტერი-პანათინაიკოსი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 691 | მანჩესტერი-პანათინაიკოსი 0:1 | 1,7 | 3,1 | 3,3 | | | |
| 23.45 | 692 | რეალი-მარსელი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 693 | რეალი-მარსელი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 23.45 | 694 | პარტიზანი-პორტუ | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.45 | 695 | სპარტა-ჩელსი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 23.45 | 696 | ბეშიქთაში-ლაციო | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 23.45 | 697 | მილანი-აიაქსი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 698 | ბრიუგე-სელტა | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 699 | ლიონი-ანდერლეხტი | 1.6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 23.45 | 700 | ბაიერნი-სელტიკი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1.05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 701 | დინამო-ლოკომოტივი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 23.45 | 702 | არსენალი-ინტერი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.45 | 703 | აეკ-დეპორტივო | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.45 | 704 | პსვ-მონაკო | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1.69 |
| 23.45 | 705 | იუვენტუსი-გალატასარაი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 706 | იუვენტუსი-გალატასარაი 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,0 | | | |
| 23.45 | 707 | სოსიედადი-ოლიმპიაკოსი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1025 | ზლინი-სლავია | 2,15 | 4.2 | 2,35 | 1,42 | 1.12 | 1.5 |
| 20.00 | 1026 | ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 1,6 | 4,4 | 3,6 | 1,17 | 1.1 | 1,98 |
| 20.00 | 1027 | ზნოიმო-ლიბერეცი | 1.6 | 4.4 | 3,6 | 1,17 | 1,1 | 1,98 |
| 20.00 | 1028 | პლზენი-ბუდეიოვიცე | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 20.00 | 1029 | კარლოვი ვარი-ტრჟინეცი | 2,25 | 4,2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| 20.00 | 1030 | კლადნო-პარდუბიცე | 2,8 | 4,4 | 1,8 | 1,71 | 1,09 | 1.27 |
| 20.00 | 1031 | სპარტა-ვსეტინი | 1,25 | 5,3 | 7,0 | 1,01 | 1,06 | 3,01 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1049 | ტრენჩინი-ნიტრა | 1,25 | 5,3 | 7,0 | 1,01 | 1,06 | 3,01 |
| 20.00 | 1050 | მიკულაში-პოპრადი | 1,95 | 4,4 | 2,5 | 1.35 | 1,09 | 1,59 |
| 20.00 | 1051 | სკალიცა-ზვოლენი | 2,3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |
| 20.00 | 1052 | სლოვანი-ჟილინა | 1,35 | 4,8 | 5,3 | 1,05 | 1,07 | 2,51 |
| 20.00 | 1053 | კოშიცე-მარტინი | 1,25 | 5.3 | 7,0 | 1,01 | 1,06 | 3,01 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1083 | სერვეტი-ცუგი | 1,8 | 4.4 | 2,8 | 1,27 | 1,09 | 1.71 |
| 22.30 | 1084 | კლოტენი-ბერნი | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,4 | 1,12 | 1,52 |
| 22.30 | 1085 | რაპერსვილი-ბაზელი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 22.30 | 1086 | ლანგნაუ-დავოსი | 2,6 | 4,4 | 1,9 | 1,63 | 1,09 | 1,32 |
| 22.30 | 1087 | ციურიხი-ფრიბურგი | 1,4 | 5,0 | 4,6 | 1.09 | 1,07 | 2,39 |

## I ტაიმის შედეგი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 5001 | რეინჯერსი-შტუტგარტი | 2.45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 23.45 | 5002 | მანჩესტერი-პანათინაიკოსი | 1,45 | 3,3 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,29 |
| 23.45 | 5003 | რეალი-მარსელი | 1,55 | 3,1 | 6,5 | 1,03 | 1,25 | 2,09 |
| 23.45 | 5004 | პარტიზანი-პორტუ | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1.26 | 1,54 | 1,23 |
| 23.45 | 5005 | სპარტა-ჩელსი | 4,2 | 2,1 | 2,4 | 1,4 | 1,52 | 1,12 |
| 23.45 | 5006 | ბეშიქთაში-ლაციო | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| 23.45 | 5007 | მილანი-აიაქსი | 1,85 | 2,3 | 6,0 | 1,02 | 1,41 | 1,66 |
| 23.45 | 5008 | ბრიუგე-სელტა | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| დრო | № | მატჩი | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|---|---|
| | | **16 სექტემბერი** | | |
| 23.45 | 5201 | რეინჯერსი-შტუტგარტი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 5202 | მანჩესტერი-პანათინაიკოსი | 2,1 | 1,55 |
| 23.45 | 5203 | რეალი-მარსელი | 2,1 | 1,55 |
| 23.45 | 5204 | პარტიზანი-პორტუ | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 5205 | სპარტა-ჩელსი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 5206 | ბეშიქთაში-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 5207 | მილანი-აიაქსი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 5208 | ბრიუგე-სელტა | 1,75 | 1,85 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| დრო | № | მატჩი | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 სექტემბერი** | | | |
| 23.45 | 5501 | რეინჯერსი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5502 | მანჩესტერი-პანათინაიკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5503 | რეალი-მარსელი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5504 | პარტიზანი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5505 | სპარტა-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5506 | ბეშიქთაში-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5507 | მილანი-აიაქსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5508 | ბრიუგე-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| დრო | № | მატჩი | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **16 სექტემბერი.** | | |
| 23.45 | 5301 | რეინჯერსი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 5302 | მანჩესტერი-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.75 |
| 23.45 | 5303 | რეალი-მარსელი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 5304 | პარტიზანი-პორტუ | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 5305 | სპარტა-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 5306 | ბეშიქთაში-ლაციო | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 5307 | მილანი-აიაქსი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 5308 | ბრიუგე-სელტა | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| დრო | № | მატჩი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | **16 სექტემბერი** | | |
| 23.45 | 5401 | რეინჯერსი-შტუტგარტი | 1,75 | 2,1 |
| 23.45 | 5402 | მანჩესტერი-პანათინაიკოსი | 1.2 | 4,0 |
| 23.45 | 5403 | რეალი-მარსელი | 1,25 | 3,7 |
| 23.45 | 5404 | პარტიზანი-პორტუ | 1,9 | 1,9 |
| 23.45 | 5405 | სპარტა-ჩელსი | 2,1 | 1,75 |
| 23.45 | 5406 | ბეშიქთაში-ლაციო | 2,0 | 1.8 |
| 23.45 | 5407 | მილანი-აიაქსი | 1,35 | 3,2 |
| 23.45 | 5408 | ბრიუგე-სელტა | 1,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 5101 | რეინჯერსი-შტუტგარტი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 5102 | მანჩესტერი-პანათინ. | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 23.45 | 5103 | რეალი-მარსელი | 1,7 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 5104 | პარტიზანი-პორტუ | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 23.45 | 5105 | სპარტა-ჩელსი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 23.45 | 5106 | ბეშიქთაში-ლაციო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 23.45 | 5107 | მილანი-აიაქსი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 5108 | ბრიუგე-სელტა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |


**კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს**

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


REUTERS ნიუ იორკიდან

ელდარ კურტანიძემ (მარცხნივ) ირანელი თავდაყირა დააყენა

# NEW ელდარი

## ოქროს ამბავი ნიუ იორკიდან

*ელდარ კურტანიძე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველია, ვინც მსოფლიოს ჩემპიონობა ორჯერ მოიპოვა. ევროპის ოთხგზის ჩემპიონმა და ორგზის ოლიმპიურმა პრიზიორმა შარშან მსოფლიოს ჩემპიონობასაც გაუსინჯა გემო და ორიოდ კვირის წინ ნიუ იორკს ტიტულის დასაცავად მიაშურა. „მედისონ სკვერ გარდენში" ოქროს მედლამდე ისე მივიდა, ოთხი მეტოქისთვის ქულაც არ დაუთმია. იქ კი ძველ მეტოქეს, ირანელ ალი რეზა ჰეიდარსაც წინამორბედთა დღე აწია და მეორედ იჩემპიონა, თან საქართველოს ნაკრებს გუნდური პირველობაც მოაგებინა*

— ეს ბრწყინვალე გრძნობაა, უბედნიერესი ვარ. მთელი საქართველო გავახარე. ორმაგად სასიხარულო კი ჩემთვის ისაა, რომ ამ ოქროთი ნაკრებმა გუნდური ჩემპიონობაც მოიპოვა. ჯერ კიდევ ფინალამდე ყველას სცოდნია, ჩემი გამარჯვების შემთხვევაში გუნდურსაც რომ ვიგებდით, მაგრამ მიმალავდნენ და წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული ფინალის დასრულების შემდეგ, როცა ეს გამიმხილეს.

**— შენი აზრით, ჩემპიონობის მოპოვება უფრო ძნელი იყო თუ მისი შენარჩუნება?**

— შედარებაც არ შეიძლება. შარშან თეირანში გაცილებით ძნელად გავიმარჯვე, წლეულს კი დაძაბულობაც მოხსნილი მქონდა, საკუთარ ძალისაც უფრო მეტად ვირწმუნე და ჩემპიონობაც არ გამჭირვებია. ხუთი შეხვედრა ისე მოვიგე, ქულაც არ დამიკარგავს, თუ არ ჩავთვლით ირანელ ჰეიდართან ფინალში ბოლო წამებზე მიღებულ გაფრთხილებას. ამ დროს ანგარიში უკვე 4:0 იყო.

**— მოდი, მოკლედ ყველა შეხვედრაზე გვიამბე.**

— ჯგუფში უზბეკ და შვედ მოჭიდავეებთან მოვხვდი. პირველს 5:0 მოვუგე, მეორეს — 4:0 და მეოთხედფინალში გავედი, რითაც ოლიმპიადის ლიცენზია გავინაღდე. შემდეგი მეტოქე უკრაინელი ვადიმ თასოევი იყო, რომელმაც მანამდე კარგი საქმე გამიკეთა — გზიდან ჩამოიცილა ძლიერი რუსი ტიგიევი. თასოევს 2:0 ვძლიე და ფინალში გასასვლელ შეხვედრაში მონღოლს შევხვდი. ბრძოლის დაწყებამდე მისმა მწვრთნელებმა გვთხოვეს, დიდი ანგარიშით არ მომეგო, რამაც დაძაბულობა მთლიანად მომიხსნა და 4 ქულა ვიკმარე. ფინალზე კი უკვე გითხარით, ირანელ ალი რეზა ჰეიდარს, შარშანდელისგან განსხვავებით, შანსი არ დავუტოვე.

**— როგორც ზაზა თურმანიძემ გვითხრა, მაყურებელმა ძალიან შეგიყვარა, მათი მხრიდან დიდ მხარდაჭერას გრძნობდი?**

— ამის უმთავრესი მიზეზი ალბათ ის იყო, რომ არასდროს თავაწეული არ ვყოფილვარ და ზემოდან არც ერთი მეტოქისთვის არ დამიხედავს. შეხვედრიდან შეხვედრამდე ჩემს ირგვლივ იმდენად კეთილი აურა და ისეთი გარემო იქმნებოდა, გამარჯვება ერთიორად გამიიოლდა. თვით ირანელებშიც კი იყვნენ ისეთები, მხურვალედ რომ მქომაგობდნენ.

**— მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულისთვის ალბათ ერთადერთი სამიზნე ოლიმპიური ოქროა...**

— ჩემი ხელობა ჭიდაობაა და ამით ვარგივარ ჩემს ქვეყანას. მისი ღირსების დაცვა ჩემთვის მოვალეობაცაა და უდიდესი სიამოვნებაც. ცხდია, ოლიმპიური ოქროთი მეც და საქართველოც უზომოდ გავიხარებთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**


REUTERS ნიუ იორკიდან

*ოქრო-ვერცხლით ვერა, მაგრამ რევაზ მინდორაშვილმა ამ გდებით ბულგარელ მოჭიდავეს აჯობა და შინ ბრინჯაოთი ბრუნდება*



Judo

მსოფლიოს ჩემპიონატი ოსაკა, იაპონია. 11 - 14 სექტემბერი.

# ქართველებმა ოსაკაში იუქმეს მედლების ძიებაში ლიცენზიებიც დავკარგეთ

**ზურაბ ზვიადაურის** ვერცხლი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ საქართველოს ნაკრებისთვის, სამწუხაროდ, პირველი და ბოლო მედალი აღმოჩნდა. შაბათ-კვირა ისე მიილია, მედალს ვინ ჩივის, ოლიმპიური ლიცენზიაც კი სანატრელი გაგვიხდა. ჩემპიონატის ბოლო ორ დღეს შერჩენილი ოთხი ქართველისგან მეოთხედფინალამდეც ვერავინ მივიდა.

ევროპის ჩემპიონ ნესტორ ხერგიანის (60კგ) მეტოქედ კენჭისყრამ მეორე წრეში მასპინძელთა ჯილა ტადაჰირო ნომურა დაასახელა და ქართველებიც დიდი ბრძოლისთვის მოემზადნენ, მაგრამ მანამდე ხერგიანს მონღოლი ხაშაბათარ ცაგანბათარი უნდა დაემარცხებინა. ყველასთვის მოულოდნელად კი იაპონელის წინააღმდეგ ხალიჩაზე გასვლა ხერგიანის მძლეველ მონღოლს მოუწია. მოკლედ, ხერგიანი ოსაკას პირველი წრიდანვე გამოაკლდა.

ასევე ერთხელ იჭიდავა რამაზ ჩოჩიშვილმაც (აბსოლუტური). იგი რუმინელმა ვეტერანმა გაბრიელ მუნტიანუმ სუფთად დაამარცხა.

სანუგეშო ტურნირში გადართვა ვერც დავით ქევხიშვილმა (73კგ) შეძლო. მეორე წრეში მისი მძლეველი, გაბერძნებული ქართველი ილიას ილიადისი მეოთხედფინალში გასასვლელ შეხვედრაში მასპინძელ იუსუკე კანამარუსთან დამარცხდა. ილიადისამდე ქართველმა ერთი გამარჯვება მოასწრო, ამერიკელ ჩაკ ჯეფერსონს იპონით მოუგო.

მესამე წრემდე მიაღწია დავით მარგოშვილმა (66კგ). მან ჯერ ტაივანელი ხვან იუიუანი გააკრა ბეჭებზე, ხოლო შემდეგ ბულგარელ გეორგი გეორგიევს სძლია იუკოთი. კუბელი იორდანის არენსიბია კი მისთვის ბოლო მეტოქე გამოდგა. თავად არენსიბიამ მეოთხედფინალში რუს მაგომედ ჯაფაროვთან წააგო, მაგრამ პორტუგალიელი ჟოაო პინას ძლევით მესამე ადგილი მაინც მოიპოვა.

ამრიგად, ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველთათვის წარუმატებლად დასრულდა. ორი წლის წინანდელი მიუნხენის მსოფლიოს ჩემპიონატის მსგავსად, ნუგეშად ახლაც მხოლოდ ზვიადაურის ვერცხლი გვრჩება, ოლიმპიური ლიცენზიაც ოდენ ერთი გვაქვს და ათენის საგზურების მოსაპოვებლად მომავალ სალიცენზიო ტურნირებში წარმატებები გვჭირდება, თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. სათქმელი ისაა, რომ საქართველომ მსოფლიოს პირველობა ულიმღამოდ დაასრულა და ბობოლებს ვინ ჩივის, საერთო მაჩვენებლით ესტონეთსაც კი ჩამორჩა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# პატარა ლიტვა დიდია

EURO BASKET 2003

ევროპის ჩემპიონატი

შვედეთი. 5 - 14 სექტემბერი

### ნახევარფინალი

**ლიტვა 74:70 საფრანგეთი**

**ესპანეთი 81:79 იტალია**

### მე-3 ადგილისთვის

**იტალია 69:67 საფრანგეთი**

### ფინალი

**ლიტვა 93:84 ესპანეთი**

20:19, 20:12, 22:17, 31:36

**ლიტვა**: იასიკევიჩიუსი (10), მასიაუსკასი (21), შტომბერგასი (9), მ. ჟუკაუსკასი (7), ე. ჟუკაუსკასი (18); შიშკაუსკასი (9), სონგაილა (10), სლანინა (2), ნავინოვიჩი (7), სალენგა

**ესპანეთი**: ნავარო (18), კალდერონი (5), ხიმენესი, გარბახოსა (17), გასოლი (36); გრიმაო, მარკო, ფრეიესი, ერეროსი (7), დე ლა ფუენტე (1), გუენო

**ევროპის ჩემპიონი** გახდა ის ნაკრები, რომელსაც ყველაზე ძალიან უნდოდა მოგება. რუსეთის იმპერიისგან გამოყოფის შემდეგ ლიტვა არაერთხელ ყოფილა დიდ გამარჯვებასთან ახლოს, მაგრამ ხან მსაჯების, ხანაც „დრიმ თიმთან" ბოლოწამს წაფორხილების გამო ვერ მოუგია ეროჩემპიონატი თუ ოლიმპიური ოქრო. ახლა კი ამ ციცქნა საკალათბურთო ქვეყანას ბებერ კონტინენტზე საუკეთესო გუნდი ჰყავს.

თუ ჩვენი ბედოვლათი ენერგომამების გადამკიდე ევროფინალი არ გინახავთ, დაძაბული ბრძოლის მომლოდინენი ბევრს არ დაკარგავდით. ლიტვა იოლად გაუსწორდა პაუ გასოლისა და მის გვერდით მდგომი ორი ყოჩალი ბიჭის (გარბახოსა, ნავარო) ესპანეთს. ლიტვას ძალიან სურდა მოგება, ლიტვა დიდი ხანი ელოდა ამ ტიტულს და მოიპოვა კიდეც.

1995 წლის ეროჩემპიონატის ფინალი ლიტვას სტანკოვიჩის იუგოსლავიასთან წააგებინეს: მავანმა ზანგმა მსაჯმა სერბთა კალათში ჩატენილი ბურთი არ ჩაუთვალა არვიდას საბონისს, თან ჯარიმა, ტექნიკური და, შესაბამისად, მოედნიდან გაძევება გამოუწერა ძველ ჟალგირისელს. ლიტვა ბოლო ოლიმპიადებზე ნიადაგ ეურჩებოდა „დრიმ თიმს" და რომ ვერ მოერია, სამი ოლიმპიური ბრინჯაო უჩხრიალებს ჯიბეში.

ნამატჩევს პაუ გასოლის დამჩაგრავი ეურელიუს ჟუკაუსკასი ლაპარაკობდა: „ჩვენი ქვეყანა არც ისეთი მდიდარია, დიდი ხელფასები დაგვირიგოს. ამიტომაც უმრავლესობა უცხოეთში მიდის სათამაშოდ, თუმც რომ ვიკრიბებით, ძალიან მონდომებულები ვართ".

**ირაკლი კერტაია**



ლიტველთა მწვრთნელი ანტანას სირეიკა ჰაერში აბურთავეს

VUELTA A ESPAÑA 03

ვუელტა 6 - 28 სექტემბერი

# მთაშიც ჩაჭმა?

**პირენეების** სამივე მთიანი ეტაპი მიილია, მაგრამ საერთო ჩათვლას კვლავ ვაკემრბოლი ისიდრო ნოსალი ლიდერობს. არადა, ვარაუდობდნენ, რომ უქმეების შემდეგ ლიდერთა ამქარს ნოსალის თანაგუნდელი და „ეროსკის" პირველი სპრინტერი იგორ გონსალეს დე გალდეანო ჩაუდგებოდა სათავეში.

გალდეანომ მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, ყვითელი მაისურა ჯერაც რომ ვერ მოირგო. თანაგუნდელებმა ყველაფერი გააკეთეს მის „გასაყვითლებლად", თავად ნოსალიც ხელს უწყობდა გალდეანოს, მაგრამ რად გინდა? „ეროსკის" სეფემრბოლმა სამივე ეტაპი ჩააფლავა — ორჯერ მე-14 იყო, ერთხელ კი პელეტონს მიჰყვა ფინიშამდე.

გალდეანო: „მადლობელი ვარ ჩემი ბიჭების, ისინი მართლაც ჯიგრით დამეხმარნენ, მაგრამ სარაგოსაში დაჭიმულმა კუნთმა მეტის გაკეთების საშუალება არ მომცა".

თანაგუნდელის წარუმატებლობამ ნოსალს ხასიათი არ წაუხდინა. „დროებითი ლიდერი" მე-9 ეტაპის ბოლოს მე-7 იყო, რაც საკმარისი აღმოჩნდა ლიდერობის შესანარჩუნებლად. ნოსალმა ვარაუდის საპირისპიროდ რიგიანად იჯირითა პუერტო დენვალირას მთებში და ნარბოლევს ხუმრობდა კიდეც, იმდენი შეტევა გადავიტანე, ზურგზე მაისურას ნაფლეთებიღა შემრჩაო.

**14 სექტემბერი. IX ეტაპი**

**ვიელხა — დენვალირა 174,8 კმ**

1 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) 4 სთ 48 წთ 36 წმ
2 დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) + 1 წმ
3 უნაი ოსა (ესპანეთი, იბანესტო) + 3 წმ

**13 სექტემბერი. VIII ეტაპი**

**კაუტერესტსი 166,2კმ**

1 ხოაკიმ როდრიგესი (ესპანეთი, ეროსკი) 4 სთ 45 წთ 40 წმ
2 აიტორ ოსა (ესპანეთი, იბანესტო) იგივე დრო
3 კონსტანტინო ზაბელა (ესპანეთი, კელმე) + 51 წმ

**12 სექტემბერი. VII ეტაპი**

**ჰუესკა — კაუტერესტსი 199კმ**

1 მიხაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 5 სთ 1 წთ 14 წმ
2 ფელიქს კარდენასი (კოლუმბია, ლაბარკა) + 55 წმ
3 მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, US პოსტალი) + 59 წმ

**საერთო ჩათვლა**

1 ისიდრო ნოსალი (ესპანეთი, ეროსკი) 29 სთ 46 წთ 47 წმ
2 იგორ გონსალეს დე გალდიანო (ესპანეთი, ეროსკი) + 1 წთ 48 წმ
3 მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, US. პოსტალი) + 2 წთ 1 წმ

# შავი ამბავი

## უილიამსებს მაგალითი მოუკლეს

**კვირისა და ორშაბათის** გასაყარზე, სადღაც შუა ღამისთვის, ლოს ანჯელესის გარეუბან კომპტონში სასიკვდილოდ დაჭრეს ვინუს და სერენა უილიამსების უფროსი და იეტუნდი პრაისი.

31 წლის იეტუნდე სამი წლით უმცროს მეგობარ როლანდ უორმლისთან ერთად სპორტული მანქანით სეირნობდა, როცა მავან ტიპებთან შელაპარაკება მოუვიდათ, ერთ-ერთმა ამ ტიპთაგან, რომელიც სავარაუდოდ, პოლიციის მიერ მოგვიანებით დაკავებული აარონ მაიკლ ჰამერი უნდა იყოს, იეტუნდი ცეცხლმსროლელი იარაღით მკერდის არეში დაჭრა. უორმლიმ დაჭრილი მეგობარი ლონგ ბიჩზე, ნათესავებთან მიიყვანა. იქიდან მომაკვდავი საავადმყოფოში გადაასვენეს, სადაც ის გარდაიცვალა კიდეც.

კომპტონი ამერიკის ერთი ყველაზე ღარიბი და კრიმინალით წამურდლული ალაგია. ადამიანებს იქ — საშუალო ეროვნულ მაჩვენებელთან შედარებით — ოთხჯერ უფრო ხშირად ხოცავენ.

ვინუს და სერენი თავიანთ მშობლებთან, რიჩარდსა და ოსასინთან და ნახევარდებთან, ოსასინისა და მისი პირველ ქმრის, იუზეფ ეი კი რაშიდის გოგონებთან — იეტუნდისთან, აიშასა და პინდრიასთან ერთად ცხოვრობდნენ. დიადი შავდები იგონებენ, რომ იარაღის ბათქა-ბუთქი მათ ხშირად კორტებზე — დღისით-მზისით ვარჯიშის დროსაც ესმოდათ, მოგვიანებით, მათი ფლორიდაში გადაბარგება უკეთეს სავარჯიშო პირობებთან ერთად ძალადობისგან თავის დაღწევის სურვილმაც განაპირობა.

იეტუნდი, რომელსაც ამ ქვეყნად სამი შვილი — 5 წლის ჯეირა, 9 წლის იუსტუსი და 11 წლის ჯეფრი რჩება, ქმარს ამ რამდენიმე წლის წინ გაშორდა. ის კორონაში, კომპონისგან 40 მილით დაშორებულ ქალაქში ცხოვრობდა, სადაც ამ რამდენიმე ხნის წინ მეგობართან ერთად სილამაზის სალონიც გახსნა.

უილიამსთა ოჯახის მიერ გავრცელებულ განცხადებაში სწერია, რომ იეტუნდი ვინუსსა და სერენას „პერსონალური თანაშემწე, ნდობით აღჭურვილი პირი და მრჩეველი გახლდათ". უმცროსი დებისთვის ის თურმე ყოველთვის მისაბაძი და სამაგალითო პიროვნება ყოფილა.

პრაისი კი დედამისის ქალიშვილობის გვარია — თქვენ ალბათ გეხსომებათ, რომ ოსასინ ბიცოლა და ძია რიჩი უკვე რამდენიმე წელია ცალ-ცალკე ცხოვრებას არჩევენ.

**ქარლო გოგოლი**



FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 54-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთოთხმეტე ეტაპი

# 50 წითელი კვირა



მიხაელ შუმახერი

**ფორმულის** მექაში, მილანიდან ოციოდე კილომეტრით დაშორებულ მონცას ლეგენდარულ „ავტოდრომო ნაციონალეზე" გუშინწინდელ რბოლას არაერთ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. უმთავრესი, ცხადია, უკიდურესად ჩახლართული სატურნირო ვითარება გახლდათ. იტალიის 54-ე დიდი პრიზის გათამაშების წინ რეალურ საჩემპიონო შანსს ინარჩუნებდა სამი პილოტი, რომელთაც ერთმანეთს თითოქულიანი სხვაობა აშორებდა. რბოლას ცხრილში გადაადგილება არ მოუტანია და წლევანდელი ტრიუმფატორის ვინაობაც, ეტყობა, დასკვნით ეტაპზე, იაპონიაში გაირკვევა.

სამთვიანი ხელმოცარვის შემდეგ მიხაელ შუმახერმა, როგორც იქნა, გაიმარჯვა და ოდნავ განიმტკიცა შერყეული სალიდერო პოზიცია. „წითელმა ბარონმა" შაბათს კარიერაში 55-ედ მოიგო კვალიფიკაცია, რბოლაც დამაჯერებლად დაიწყო და მეწინავეობა არავის დაანება, მიუხედავად იმისა, რომ მისმა მთავარმა კონკურენტმა ხუან-პაბლო მონტოიამ დასაწყისშივე ორჯერ მწვავედ შეუტია გასასწრებად. აღსანიშნავია, რომ მეტოქეებს ჯენტლმენური ქცევის წესი არ დაურღვევიათ და კრიტიკული სიტუაციიდან უფათერაკოდ გამოვიდნენ.

ეს იყო და ეს, რბოლა დაწყნარდა და პირველი ხუთეული როგორც გაუდგა გზას, ფინიშთან იმავე თანმიმდევრობით მივიდა. ხუანი კარგა ხანს კუდში კი მიჰყვებოდა მიხაელს, მაგრამ გასწრების შანსი ერთხელაც აღარ მისცემია. ისე, არც თავად მოუკლავს მაინცდამაინც თავი და მეორე ადგილითაც კმაყოფილი ჩანდა: „ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, მონცას მინიმალური დანაკარგით ვტოვებ და როგორც ადრე ვამბობდი, ყველაფერი იაპონიაში, ბოლო ეტაპზე გაირკვევა. მეორე პიტსტოპის შემდეგ მიხაელის დაწევის შანსი კი გამიჩნდა, მაგრამ წრით ჩამორჩენილებმა შემაფერხეს, მათ შორის ფრენცენმა. თუმც, ვფიქრობ, შუმახერის გასწრებას ალბათ მაინც ვერ შევძლებდი".

ეს მიხაელ შუმახერის 69-ე დიდი პრიზია, აქედან 50-ე „ფერარის" შემადგენლობაში: „ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი უდიდესი დღე იყო, ჩვენ ხომ მეტად მნიშვნელოვანი რბოლა მოვიგეთ ასეთი ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ".

შუმიმ რბოლაში უსწრაფესი წრეც მიითვალა, ასე რომ, ჰეთ თრიქით გაიმარჯვა, რაც უძნელესი შესასრულებელია. ამასთან სამასკილომეტრიანი დისტანცია 247,586 კმ/სთ სიჩქარით გაიქროლა და ინგლისელ პიტერ გეტინის (BRM) 22 წლის წინანდელი რეკორდიც (242,615) გააუმჯობესა.

მშვენივრად ირბოლა 29 წლის ესპანელმა მარკ ჟენემ, რომელმაც ორი კვირის წინ სწორედ „მონცაზე" ვარჯიშისას ნაავარიევი რალფ შუმახერი შეცვალა. პატარა შუმიმ პარასკევს წინასწარ კვალიფიკაციაში კი გაიჯირითა, მაგრამ მანქანიდან გადმოსული თავის ტკივილს და გულისრევას უჩიოდა. ფორმულის მთავარმა ექიმმა სიდ უოტკინსმაც, რა თქმა უნდა, შაბათ-კვირას ტრასაზე გასვლა აუკრძალა.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

**იტალიის დიდი პრიზი**
**14 სექტემბერი. მონცა**
დისტანცია — 53 წრე — 306,764კმ

1. (1) მ. შუმახერი (ფერარი) 1:14.19,838 (247,586 კმ/სთ)
2. (2) მონტოია (უილიამსი) ჩამორჩა 5,294
3. (3) ბარიკელო (ფერარი) 11,895
4. (4) რაიკონენი (მაკლარენი) 12,834
5. (5) ჟენე (უილიამსი) 27,891
6. (10) ვილნევი (BAR) 1 წრით
7. (11) ვებერი (იაგუარი) 1 წრით
8. (20) ალონსო (რენო) 1 წრით
9. (16) ჰაიდფელდი (ზაუბერი) 1 წრით
10. (13) ფიზიკელა (ჯორდანი) 1 წრით
11. (18) ბაუმგარტნერი (ჯორდანი) 2 წრით
12. (19) კიეზა (მინარდი) 2 წრით
13. (14) ფრენცენი (ზაუბერი) 3 წრით

**რბოლას გამოეთიშნენ**

(8) კულთჰარდი (მაკლარენი) გაიარა 44 წრე
(9) პანი (ტოიოტა) 34
(17) ფერსტაპენი (მინარდი) 26
(7) ბატონი (BAR) 23
(12) და მატა (ტოიოტა) 3
(15) უილსონი (იაგუარი) 1
(6) ტრული (რენო) 0

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
მ. შუმახერი 1.20,963 (257,6 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მ. შუმახერი 1.21,832 (254,8 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ. ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბერი | აშშ 28 სექტემბერი | იაპონია 12 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | 5 | 3 | – | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | 4 | 6 | 5 | 2 | 1 | 10 | | | 82 |
| 2 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 8 | – | – | 2 | 5 | – | 10 | 6 | 8 | 8 | 8 | 10 | 6 | 8 | | | 79 |
| 3 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 6 | 10 | 8 | 8 | – | 8 | 8 | 3 | – | 5 | 6 | – | 8 | 5 | | | 75 |
| 4 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | 1 | 5 | 2 | 5 | 4 | 3 | 5 | 8 | 10 | 10 | – | – | 5 | – | | | 58 |
| 5 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | – | 8 | – | 6 | 6 | 6 | 1 | 4 | 6 | 2 | 10 | – | – | 6 | | | 55 |
| 6 ალონსო რენო, ესპანეთი | 2 | 6 | 6 | 3 | 8 | – | 4 | 5 | 5 | – | – | 5 | 10 | 1 | | | 55 |
| 7 კულთჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 10 | – | 5 | 4 | – | 4 | 2 | – | – | 4 | 4 | 8 | 4 | – | | | 45 |
| 8 ტრული რენო, იტალია | 4 | 4 | 1 | – | – | 1 | 3 | – | – | – | 3 | 6 | 2 | – | | | 24 |
| 9 ვებერი იაგუარი, ავსტრალია | – | – | – | – | 2 | 2 | – | 2 | 3 | 3 | – | – | 3 | 2 | | | 17 |
| 10 ბატონი B.A.R, დ. ბრიტანეთი | – | 2 | – | 1 | – | 5 | – | – | 2 | – | 1 | 1 | – | – | | | 12 |

ფიზიკელა (ჯორდანი) — 10; და მატა (ტოიოტა) — 8; ფრენცენი (ზაუბერი) — 7; პანი (ტოიოტა), ვილნევი (B.A.R) — 6; ჟენე (უილიამსი) — 4; ჰაიდფელდი (ზაუბერი) — 2, ფირმანი (ჯორდანი) — 1

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge